

პოლიტიკური კოეზის აკოლოგია

პოეზია არის ცხოვრება, მოქმედება, ვნება

ნ. ჩერნიშევსკი

მხატვარიც ხელისუფალია

ა. გერცენი

„მის ნაწერებში ქრის კლასობრივი ბრძოლის სული...“

სეთის პოლიტიკური სატირა კი ან ტირ-ტივის სამოქალაქო (საომარი) პოეზია—

გერცენისადმი მიწერილ წერილში ბელინსკი ამბობს: არის მხატვრული ტალანტის ისეთი ტიპი, როდესაც ჰქუას სჯობნის შემოქმედებითი ფანტაზია, მხატვრული ნიჭი.

გერცენი ბელინსკის შედარებით ლიბერალი იყო, მაგრამ ისიც ერთერთი წინამორბედი ჩერნიშევსკის ესთეტიკის. მისხვედ—ეს ნიშნავს იმოქმედო, ამბობდა იგი (მოგონეთ ლენინი).

„გემოდ დახასიათებულმა თერაპიებმა ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ესთეტიკაში და კრიტიკაში უფრო დასრულებული და უფრო რევოლუციური სახე მიიღებს,

ჩერნიშევსკის ესთეტიკაში მთავარია რევოლუციური უტილიტარიზმის პროპაგანდა, ხელოვნება არ შეიძლება ცხოვრების მიღმა ან მალა იდგეს—ის ცხოვრებას ასახავს, მაგრამ სინამდვილის მხოლოდ ამსახველი მწერალი პასიური მემბრანაა (გავიხსენოთ, რომ ჩვენ დროში ა. ვ. ლუნინის არსებობის დაარქვა).

ბევრი ამტიკებს, თითქმის ჩერნიშევსკის თეორიაში სუსტი პუნქტი იყო მის მიერ ხელოვნების თავისებურებათა შეუფასებლობა, მართლაც მის ესთეტიკას, როგორც სამართლიანად შემჩნეული, გლეხური შეზღუდულობის დალი აკრავს.

ლენინმა ახსნა უკვე, რომ მაშინდელი პირობების გამო ჩერნიშევსკის არ შეეძლო უფრო წინ წასულიყო. და თუ ჩვენ უმთავრესად მხოლოდ მთავალში (კომუნისმში) შეგვიძლია ვიფიქროთ ხელოვნებაზე, როგორც კულტურულ „გართობაზე“, მით უფრო მაშინ ჩერნიშევსკის თაობა ვერ დაუთმობდა ფეოდალურ დეგენერატებს ხელოვნების გართობათ აღიარების პუნქტში.

სინამდვილეში კი? ხელოვნება შედუღებულია ბუნებასთან, ცხოვრებასთან, როდესაც ადამიანი



ჩერნიშევსკის დასჯა

ნ. გ. ჩერნიშევსკის გავლენა საქართველოში

რაუდენ კალაძე

ცარიზმის საქართველოში შემოტრამ არა მარტო პოლიტიკური და კულტურული ზედნაშენები დაამხო, არამედ ახალ ეკონომიურ საფუძვლების ჩაყრასაც გამალებული ტემპით შეუდგა.


ეს ქართველი იდეოლოგები იყვნენ „თერგდალეულნი“ ანუ აკაკის თქმით, „რუსეთუმეები“, რომლებიც თავიანთ სტუდენტობის ხანაში რუსული ხალხოსნური იდეოლოგიის გავლენაში ატმოსფერაში ცხოვრობდნენ და, როცა საქართველოს პირობებში მოექცენ (1860-70 წ.), ეროვნული მოტივი განიხლეს, ეროვნული იდეა წინ წამოაყენეს და პროგრამაც ამდგარი შეიმუშავეს; და ამ საერთო პროგრამას ხალხოსნური ელფერი მისცეს იმდენად, რამდენად და როგორც ეს მათ გაეგებოდათ და თავისი მომავლინებელი კლასის ინტერესებისათვის ესაჭიროებოდათ.

ამის საუკეთესო ილუსტრაციას ილია ჭავჭავაძის მწერლობა წარმოადგენს (იხ. 1863 წ. ურნ. „საქართველოს მოამბის“ №18-ები). მან პირველმა მოიხსენია, როგორც კი ეს საჭიროდ დაინახა, ხალხოსნების იდეები...

თერგდალეულთაგან ხალხოსნობის შედარებით უფრო ერთგულნი დარჩნენ გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და ამათი თანამშრომელი. ამ ჯგუფის მთლიანობამ მხოლოდ 1880 წლამდე გასტანა. ის უარყოფდა რევოლუციონიზმს, არ სწამდა არც ევროპის უტოპიური სოციალიზმი, არც რუსული ობშინა და არც გერცენის თეორია ევროპის ცივილიზაციის და კაპიტალიზმის „ღობის“ შესახებ.

მაშასადამე, ის იყო საქართველოში ხალხოსნობის არა მთლიანად გამტარებელი, არამედ—ნაწილობრივ და ისიც არარევოლუციურის და არასოციალისტურის.

(გაგრძელება იხილე მე-5-ე გვერდზე)



გ. აზრინიძე

ა. ნ. პიპინის მიერ შედგენილი ჩერნიშევსკის უცნობი ბიოგრაფია აღმოჩნდა ნიკო ნიკოლაძის საბუთებში. როგორც ჩანს, იგი ავტორს ნ. ნიკოლაძისათვის გამოუგზავნია. ბიბლიოგრაფია დაწერ. 1882 წ., — იმ პერიოდში, როცა „Народная Воля“ მოლაპარაკებას აწარმოებდა მთავრობასთან ჩერნიშევსკის გადასახლებიდან განთავისუფლების შესახებ. ნ. ნიკოლაძე ამ მოლაპარაკებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ამ საქმეების გამო იგი პარიზშიც წავიდა „ნაროდნაია ვოლია“ აღმასკომის წევრებთან მოსალაპარაკებლად. „ნაროდოვოლცების“ პოზიცია ამ საკითხში ასეთი იყო: ისინი სპობდნ ტერორს ალექსანდრე მეხამის წინააღმდეგ და სამაგიეროდ სხვა მოთხოვნებთან ერთად აუენებდნ ჩერნიშევსკის განთავისუფლების საკითხს (იხ. ნ. ნიკოლაძის წერილი: „Освобождение Чернышевского“, „Былое, 1906, IX, გამოვიდა ცალკე წიგნათ: „Переговоры „священной дружины“ с партией „Народной воли“, 1917 წ.). ამ პერიოდში ლიბერალურ ბურჟუაზიის პოზიციაზე მდგარმა ნიკოლაძემ მალე შეიგნა, რომ ჩერნიშევსკის ამ გზით განთავისუფლება შეუძლებელია. მოლაპარაკებამ შედეგი ვერ გამოიღო. თვითონ ნიკოლაძე კი ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღების გამო „მკაცრ პოლიციურ ზედამხედველობის ქვეშ მოექცა“ („Деятели революционного движения в России“, Био-библиограф. словарь, 1928 წ. ტ. I გვ. 272. ამ საკითხზე არსებობს ვერა ფიგნერის, მიხაილოვსკისა და სხვათა საინტერესო მოგონებები).

ქვეს გარეშეა, ჩერნიშევსკის ქვემოლ მოთავსებული ბიოგრაფია ა. ნ. პიპინს გამოუგზავნია ნ. ნიკოლაძისათვის ჩერნიშევსკის განთავისუფლების საკითხთან დაკავშირებით. ამას მოწმობს ხელნაწერის რბილი ტონიც. ეს მოსაზრება დასტურდება იმ ფაქტითაც, რომ ჩერნიშევსკის განთავისუფლების საკითხზე ა. ნ. პიპინს 1881 წ. დაუწერია „Записка о деле Чернышевского“ და გადაუცია ლორის-მელიქოვისათვის (Чернышевский в Сибири“ III, გვ. 239). ცნობილია, კარლ მარქსი კიცხავდა რუს რევოლუციონერებს იმისათვის, რომ ისინი სათანადოდ არ ზრუნავდნ ჩერნიშევსკის განთავისუფლებისათვის. გადასახლებიდან ჩერნიშევსკის გაქცევის მოხერხების ყველა ცდები უშედეგოდ დამთავრდა. პირველი ასეთი ცდა 1868 წელს ეკუთვნის. (ე. წ. „სმორგანკის აკადემიის“ წევრების ცდა ნ. ნიკოლაძის, „Революционное подполье в эпоху

„белого террора“, 1929 წ. გვ. 128). შემდეგში, გაქცევის მოწყობის ცდა მოახდინეს 1871 წ. — ლოპატინმა და 1875 წ. მიოკინმა, მაგრამ შეპყრობილ იქნენ. მე-80 წლებში დაიწყო ჩერნიშევსკის განთავისუფლების შესახებ მთავრობასთან მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და თხოვნების პერიოდი. ამ ხანას ეკუთვნის ა. ნ. პიპინის ქვემოლ დაბეჭდილი ბიოგრაფიაც. მთავრობისათვის დაწერილ, ჩერნიშევსკის ამ ბიოგრაფიიდანაც კი ნათლად ჩანს, თუ როგორ დაასამარა ცოცხლად რუსეთის მონარქიამ თავისი დროის ყველაზე დიდი რევოლუციონერი და გენიალური მოაზროვნე. პიპინის ხელნაწერი ნ. ნიკოლაძის მეუღლემ — ოლ და გურამიშვილმა გადმოცა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნი.

ЭСТЕТИЧЕСКИЯ ОТНОШЕНИЯ

ИСКУССТВА КЪ ДѢЙСТВИТЕЛЬНОСТИ.

Н. Ш. Чернышевский


ლიხერტაციის პირველი გამოცემის ყდა

ბით) გააპარა მან მეორე უკვდავი წიგნი „რა ვაკეთოთ“. გაივლის კიდევდღი დრო და ეს წიგნები დაუფიწყარი იქნება მოწინავე ადამიანთათვის.

პიპინის ხელნაწერი

ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი დაიბადა 1828 წ., სარატოვში. მისი მამა დეკანოზი და ქეთილოწესრიგე ამ ქალაქში, — უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი, — იყო კაცი, რომელიც სარგებლობდა საერთო პატივისცემით, როგორც რელიგიოზური განათლებული და მაღალი ზნეობის ადამიანი. ჩერნიშევსკის მამისაგან გადაეცა მტკიცე ზნეობრივი მოთხოვნათვის მიმართ და უპირისპირი გულკეთილობა, რაც მკიდროდ, აკავშირებდა მასთან ყველას, ვინც კი მას კარვად იცნობდა. ჩერნიშევსკი დასაწყისში სწავლობდა სახლში მამისთან. ორიოდ წელი გაატარა სარატოვის სემინარიის უფროს კურსებზე, რის შემდეგაც 1847—1850 წწ. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. აქ კურსის დასრულების შემდეგ, იგი იყო რუსული ენის მასწავლებლად ჯერ პეტერბურგში, შემდეგ კი სარატოვში. აქ 1853 წ. ჩერნიშევსკი დაქორწინდა, გადავიდა პეტერბურგში და ხელი მიყო ლიტერატურას. იგი მონაწილეობას იღებდა ჟურნალებში: „Отечественные записки“ და „Современник“, შემდეგ კი მხოლოდ და მხოლოდ უკანასკნელში თანამშრომლობდა. ნეკრასოვთან ერთად, ჩერნიშევსკი იყო მთავარი ხელმძღვანელი ამ ჟურნალისა, რომლის გარშემო შემოკრებილი იყო მაშინდელი საუკეთესო ლიტერატურული ძალები, როგორც იყვნენ ტურგენევი, გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი, სალტიკოვი და სხვები. 1) — იმ დროს უნივერსიტეტის ახალგაზრდა კრიტიკოსი — დობროლი იუბოვი, რომელსაც დღემდე შერჩა დიდი სახელი, — იყო ჩერნიშევსკის მოწაფე ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

1862 წ. ჩერნიშევსკი დაატუსაღეს (ივნისში) რალაც ბნელი ჯაშუშობის გამო, რომლის ფაქტიური საფუძველი შემდეგ ვერ მოინახა. მისი დატუსაღება მტრების ინტრიგით იყო გამოწვეული და ემყარებოდა ჩერნიშევსკის შეხედულებებს გლეხურ რეფორმაზე. 2) პროცესი რომელშიც ჩერნიშევსკი ერთ-ერთი ბრალდებული იყო, — თუმც ბრალმდებლები ლაპარაკობდნ საქმეზე, რომელიც მოითხოვდა მონაწილეობას, — გრძელდებოდა ორი წელი, რომლის განმავლობაში ჩერნიშევსკი პეტერბურგის ციხეში მარტო იყო ჩამწყვდელი. ჩერნიშევსკის 1864 წლის მისიში მიუსაჯეს 7 წლით კატორღაში გადასახლება და მუშაობა ჩერნიშევსკიმ თავისი გადასახლების პირველი ხანა გაატარა ყაზახების სოფელში, კადაში, მონღოლეთის საზღვარზე, ველურ უდაბნოში, შემდეგ ცოტახანი დაჰყო ალექსანდროვის ქარხანაში ნერჩინსკის ახლო. ბოლოს გადაიყვანეს ქალაქ ვილიუსკში (იაკუტსკის ოლქში). ეს ქალაქი მდებარეობს იაკუტსკიდან ერთი თვის საფლგ გზის დაშორებით, საშინელ მკაცრ ჩრდილოეთის მხარეს 3). აქ ის ყოველთვის ცივილიზაციურ ცხოვრებიდან მოწყვეტილი საშინელ დამამძიმებელ მკაცრ რეჟიმში ატარებს თავის უკანასკნელ მიწვეწლებს. ჩერნიშევსკის ოჯახი, ცოლი და ორი ბავშვი დარჩნ რუსეთში. ბავშებს მოუ-



ნ. ჩერნიშევსკი გაჩხრეკის მოლოდინში სწვავს თავის ხელნაწერს ციხის საკანში

1) მეფის მთავრობამ ჩერნიშევსკი დაატუსაღა, როგორც რევოლუციონური მოძრაობის სულის ჩამდგმელი. მესამე განყოფილებაში შეადგინა ყალბი ხელნაწერები, რომლის საშუალებითაც იურიდიულად „დასაბუთა“ დაპატიმრება. წარდგენილი პროკლამაციები მართლაც ეკუთვნოდა ჩერნიშევსკის, მაგრამ მთავრობას ამის დასამტკიცებელი საბუთი არ გააჩნდა (იხ. „Крас. Архив“, 1927 წ. XXV Решен. вопрос). ა. ნ. პიპინს 1864 წ. მიუცია თხოვნა გენერალ-გუბერნატორ სევიროვსთვის, რომელშიც იგი ითხოვდა პირველად უფროდღმა ჩერნიშევსკის საქმის იურიდიულ უმართებულობისათვის.

2) ქ. ვილიუსკში ჩერნიშევსკი საშინელ პირობებში ცხოვრობდა. იგი აქ მალე დაავადდა. ჩერნიშევსკის უფრო ჯანმრთელ მხარეში გადაყვანის შესახებ გაგზავნილი თხოვნა — ცოლის (1874) ა. ნ. პიპინის (1875 წ.) და შვილების (1880 წ.) ალექსანდრე მეორემ ჯალათური გულცივობით უუყოღაღღებოდ დატოვა. („Красный архив“, 1927 წ. III).


წით სწვავლის დრო. უფროსი შვილი მამის გადასახლების დროს იყო 10 წლის, უმცროსი კი მე-7 წელში. პირველ წლებში ოჯახს კიდევ შერჩენოდა ცოტაოდენი საშუალება ჩერნიშევსკის შრომებიდან, მაგრამ ესეც მალე გამოილია. ბავშვები პეტერბურგში სწავლის დროს იყვნენ ნათესავების ხელში. ჩერნიშევსკის თხოვრებათა გამოცემა, რომელსაც შეეძლო მისი ოჯახის სრული უზრუნველყოფა — აკრძალული იყო. 4) ამჟამად ჩერნიშევსკი ცხოვრობს ვილიუსკში ყველასგან დავიწყებული, მიტოვებული და ავადრღოვი, ოჯახისა და ნათესავების გარდა მისი ერთად-ერთი ზრუნვის საგანი არის საკუთარი ოჯახი, რომლისათვის მუშაობაც-კი აკრძალული აქვს. გადმოცემებით, რომლებიც დასტურდება ოჯახის მიმართ გადაგზავნილ ჩერნიშევსკის მოკლე წერილების შინაარსითაც, თავისი უბედურება მას გადააქვს უდიდესი თავგანწირვით! იგი გადაჭრით უარს ამბობს ყოველგვარ ამანათის თუ ცოტაოდენი ფულის მიღებაზედაც (ალბათ ოჯახს რომ არ მოაკლოს), ამტკიცებს, რომ ცხოვრობს კარგ პირობებში და არაფერი ესაქიროება, ოღონდ კი მისი ოჯახი იყოს ჯანმრთელად და არ უჭირდეს. 5)

ახლად აღმოჩენილი მასალები

ნ. გ. ჩერნიშევსკიზე

ტიფლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერმა მუშაკმა ანბ. გ. აბზინიძემ აღმოაჩინა ჩერნიშევსკის ორი უცნობი წერილი. განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს 1889 წლის 15 სექტემბრის თარიღით დაწერილი ჩერნიშევსკის ვრცელი ბარათი, რომელზედაც ადრესატი და მისამართი არ არის აღნიშნული. გ. აბზინიძის გამოარკვევით ეს წერილი მიწერილია მეაბრეშუმზე გიორგი ჩიჩუასადმი, რომელიც ამ ხანებში ქ. ასტრახანში იყო გადასახლებული. წერილი ეხება 1889 წლის სარატოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენას, რომელსაც ჩერნიშევსკი დასწრებია. წერილში ნათლად გამოსკვივის ჩერნიშევსკის დიდი დინტერესება სასოფლო სამეურნეო საკითხებით. „რუსეთის უდიდესი მოაზროვნე“ დაწვრილებით აღწერს გამოფენის სააბრეშუმო განყოფილებას და გესვლიანად დასცინის მისი ორგანიზატორების ფორმალისტკისა და ბიუროკრატობას, რაც მათ „თავიანთ დაწესებულებებიდან და პალატებიდან გამოფენაზე გადმოიტანეს“. ეს წერილი აგრეთვე შესამჩნევია იმითაც, რომ იგი არის ჩერნიშევსკის უკანასკნელი ბარათი (დღემდე ცნობილია შორის) გარდაცვალების წინა თვეში დაწერილი (ჩერნიშევსკი გარდაიკვალა 1889 წლის 17 (29) ოქტომბერს). მეორე ბარათი, 1884 წ. 27 აგვისტოს თარიღით — მიწერილია ჩვენი ცნობილი პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის მიმართ და ეხება ჩერნიშევსკის შეფლის საქმეებს. წერილები აღმოჩნდა ნ. ნიკოლაძის არქივში. ჩერნიშევსკის წერილები ანბ. გ. აბზინიძის შესვავით წერილობით და კომენტარებით გამოქვეყნდება „ეულის“ ორგანო „ლიტერატურულ მემკვიდრეობის“ პირველ ნომერში, რომელიც იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა. მნიშვნელოვან ინტერესს შეიცავს აგრეთვე დღეს ჩვენ გაზეთში გამოქვეყნებული ა. ნ. პიპინის მიერ შედგენილი ჩერნიშევსკის აქამდე უცნობი ბიოგრაფია, რომელიც დაწერილია ჯერ კიდევ ჩერნიშევსკის სიცოცხლეში — 1882 წელს.

1) „სოვრემენნიკი“ გამოცოცხლდა მის სათავეში ჩერნიშევსკის ჩადგომის შემდეგ და რაწინაიხუნდ-დემოკრატიულ ახალ-თაობის მოწინავე მებრძოლ ორგანოდ გადაიქცა (1855—1862). ჩერნიშევსკის მოსვლამ გამოიწვია ჟურნალის თანამშრომელთა ორ მტრულ ბანაკად გაყოფა. ჩერნიშევსკის რევოლუციურ ჯგუფს (დობროლიუბოვი ნეკრასოვი, ანტონოვიჩი და სხვა) დაუპირისპირდა ტურგენევი, ლ. ტოლსტოი და სხვა.



ადგილები ნ. გ. ჩერნიშევსკის დისერტაციიდან „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი“

როგორც დეკაბრისტებმა გამოაფხიზლეს ბერცენი, ისე ამგვარადვე ბერცენმა და მისმა „კოლოკოლმა“ ხელი შეუწყო რუსეთში რევოლუციის გამოვლინებას... ჩერნიშევსკი ბავშვობიდან უფრო თანამიმდევარი და მებრძოლი დემოკრატი იყო. მის ნაწარმოებში ქრის კლასობრივი ბრძოლის სული.

გ. ი. ლენინი (ტ. XX, ნაწ. I, გვ. 450-451)

ხელოვნება როგორც მსჯავრმდებელი

ხელოვნების არსებითი მნიშვნელობაა—განსახიერება იმისა, რითაც ადამიანი დაინტერესებულია სინამდვილეში. მაგრამ ცხოვრების მოვლენებით დაინტერესებულ ადამიანს არ შეუძლია შეგნებულად თუ შეუგნებლად თავისი მსჯავრი არ დასდოს მათ—პოეტსა თუ მხატვარს, იმის გამო, რომ მას შეუძლია არ იყოს საზოგადოდ ადამიანი, არ შეუძლია, კიდევაც რომ უნდოდეს, გამოხატულ მოვლენათა შესახებ თავისი განაჩენის წარმოქმნაზე უარი თქვას. ეს განაჩენი გამოხატულია მის ნაწარმოებში—აი ხელოვნების ნაწარმოებთა ახალი მნიშვნელობა, რომლითაც ხელოვნება ადამიანის წინაშე მოქმედებდა რიგში დგება. არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრების მოვლენათა შესახებაც მსჯელობა თითქმის მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ცხოვრების ზოგიერთ მხარესადაც მიდრეკილებას იჩენენ, სხვებს კი უფურადღებოდ სტოვებენ. ეს ის ადამიანებია, რომელთაც სუსტი გონებრივი ჰორიზონტი აქვთ: როცა ასეთი ადამიანი—პოეტი ან მხატვარია, მის ნაწარმოებში სხვა მნიშვნელობა არ აქვთ, გარდა იმისა, რომ ცხოვრების მათ საყვარელ მხარეებს ასახიერებენ.

მაგრამ ის ადამიანი, რომლის გონებრივი სამყარო ძლიერ აღზნებულია ცხოვრების დაკვირვებისაგან გამოწვეული საკითხებით, თუ მხატვრული ნიჭითაა დაჯილდოებული, მის ნაწარმოებში, შეგნებულად თუ შეუგნებლად, გამოხატება მისწრაფება, გამოიტანოს ცოცხალი განაჩენი იმ მოვლენათა შესახებ, რომლებიც მას აინტერესებენ (და აინტერესებს მის თანამედროვეთ, რადგანაც მოაზროვნე ადამიანს არ შეუძლია ფიქრი უმნიშვნელო საკითხების შესახებ, რომლებიც, მის გარდა, არაფერს აინტერესებს). ასეთი მწერლის სურათებში ან რომანებში, პოემებში, დრამებში, მოცემული იქნება ან გადაჭრილი მოაზროვნე ადამიანისათვის ცხოვრებიდან წამოჭრილი საკითხები: მისი ნაწარმოებში იქნება ან, ასე ვთქვათ, თხზულებანი თვით ცხოვრებისაგან მოცემულ თემებზე. ამ მიმართულებას შეუძლია თავისი გამოხატულება ყველა ხელოვნებაში იპოვოს, მაგრამ განსაკუთრებით ვითარდება ის პოეზიაში, რომელსაც განსაზღვრული აზრის გამოხატვის სრული შესაძლებლობა აქვს.

ჩერნიშევსკი—ერთადერთი მწერ-მარტივად უდიდესი მწერია, რომელმაც, მეორეხარისხით ფლემანდურ და ფლემანდურ 1888 წლამდე, „მალლო“ ლარჩინილიყო თანამიმდევრებით ფილოსოფიური მატარიალიზმის დონეზე და დამოკიდებულება ნეოკანტონალიზმის, კოზმითიზმის, მანისტიზმისა და სხვა დაბნეულთა აბლაუზება. მაგრამ ჩერნიშევსკიმ ვერ მოახერხა, უკეთესად არ შეეძლო რუსეთის ცხოვრების ჩამოკრიტიკების გამო, ამაღლებულიყო მარქსისა და ენგელსის დიალექტიკურ მატერიალიზმამდე. გ. ი. ლენინი (ტ. X, გვ. 394-306).

უპირველესი მოთხოვნა—
პედაგოგიკა

საქმე ისაა, რომ თანამედროვეობა რადიკალურად ახალი ადგილები უნდა დაიკავოს, რომ მისი მიზანს ბევრი ხელშეწყობი, მოთხოვნა დაკმაყოფილებისთვის და მისთვის უნდა დაეხმოს. ამჟამინდელი მთავარი საზოგადოება და სული მოთხოვნა აქვს, მის კვლადეკვალ ესთეტიკურად სავსებით დაკმაყოფილებული „სასიამოვნო“ რადიკალური იმის არსებობა და იგივე საზოგადოება დასთან ბუნების მოთხოვნები—ციხის ხელოვნების ნაწარმანი კი არ არიან, არამედ მოვთ, რომელიც ამ სურ-გაფუძვლილი წარმოდგენის ვილებს აკმაყოფილებენ. იქნებანი, რომელთა გუ-ადამიანის უნის გულის მის მოვლა შეუძლებელია მოვლა კიდევ არ ნიშნავს ისე, რომ არ დავიმსახუროთ ადამიანის მოთხოვნა—დაცინვა და ზიზღი თვით თა დაკმაყოფილებას. ამ იმ ადამიანისა, რომლის გუ-მოთხოვნაა თანაგან უპირ-ლის მოვლასაც ვცდილობთ, ველესა—ქეშარიტება.

მთავარი „რა“
უსარგებლოს
პატივის სარ
სცემენ

მაგრამ ეს ფორმალური სილამაზე, ან იდეისა და მხატვრული სახის ერთიანობა, შინაარსისა და ფორმის მთლიანობა ხელოვნების სპეციალური თავისებურება კი არაა, რომელიც განსახიერებს ხელოვნებას ადამიანთა მოქმედების სხვა დარგებისაგან. იდეისა და მხატვრული სახის ერთიანობა განმარტავს ხელოვნების მართო ფორმალურ მხარეს და სრულადაც არ ეხება მის შინაარსს: ის ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შესრულდეს, და არა იმაზე, თუ რა სრულდება. მაგრამ ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ფრაზაში საყურადღებოა სიტყვა „სახე“—იგი იმის შესახებ ლაპარაკობს, რომ ხელოვნება გამოხატავს იდეას არა განწყობილი ცნებებით, არამედ ცოცხალი ინდივიდუალური ფაქტით. მხოლოდ მოახლოვნი ადამიანისათვის საუკუნისხშირ შინაარსს შეუძლია დაიფაროს ხელოვნება საყვარელი-საკან, თითქო იგი ფუჭი გასართობი იყოს, რაც იგი არათლად ძალიან ხშირად არის: მხატვრული ფორმა ვერ დაიფარავს ზისთვისაგან ან გულშემატკივარ ღმირ-ლისაგან ხელოვნების ნაწარმოებს, თუ კი იგი თავისი იდეის მნიშვნელობით ვერ შეძლებს პასუხის გასცემას კითხვებზე: „ღირდა კი ამაზე შრომა?“ უსარგებლოს არ აქვს ნება პატივი მოითხოვოს.

ნაწარმოების
მეცნიერული მნიშვნელობა

საატვარი თუ მართო ცხოვრების მოვლენათა ასახვით კმაყოფილება, ის ჩვენს ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებს ან ცხოვრების შესახებ ჩვენ მოგონებებს ეხმარება. მაგრამ, თუ ის მასთან ერთად ახსნის და განსჯის მის მიერ განსახიერებულ მოვლენებს, მაშინ ის მოაზროვნედ ხდება და მის ნაწარმოებს თავის მხატვრულ ღირსებასთან ერთად ემატება კიდევ უმაღლესი მნიშვნელობა—მეცნიერული მნიშვნელობა.

მხატვარი მეცნიერად ხდება და ხელოვნების ნაწარმოებიც რჩება რა ხელოვნების სფეროში, მეცნიერულ მნიშვნელობას იქნის.

მანინჯი სურათი

პორტრეტი, რომელიც არ გადმოგვცემს სახის გამოხატულების უმთავრეს არსებით ნაკვთებს, სწორი არაა; როცა ამივე დროს სახის წვრილმანი დეტალები მკაფიოდ გადმოცემული, პორტრეტი სხე და მანინჯი უნდა გამოდის, —უაზრო, მკვდარი—ან კი, როგორ არ უნდა იყოს ის საზიზღარი!

მეორე-მოაზროვნე

ისტორიის პირველი ამოცანა—ცხოვრების განსახიერება; მეორე—მისი ახსნა, რასაც არა ყველა ისტორიკოსი ასრულებს. თუ ისტორიკოსი მეორე ამოცანის შესახებ არ ზრუნავს, იგი უბრალო მემბრანად რჩება და მისი ნაწარმოებიც ნამდვილი ისტორიკოსისათვის მხოლოდ მასალად გამოდგება ან ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისათვის საკითხავად. თუ მეორე ამოცანის შესახებაც ზრუნავს, ისტორიკოსი მოაზროვნედ ხდება და მისი ქმნილება ამის გამო მეცნიერულ ღირსებას იქნის. ხელოვნების შესახებაც სწორედ იგივე უნდა ითქვას.

ჩერნიშევსკის ესთეტიკა

ანა ნიკოლაჟი

ჩერნიშევსკის ინტელექტუალური მემკვიდრეობა, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი პროლეტარიატის რკინის არსენალში შედის—მხოლოდ მუშათა კლასის დიქტატურის პირობებში ხდება ნამდვილი ათვისებისა და შეთვისების საგნად.

ამ წერილში ჩვენ განვიხილავთ ჩერნიშევსკის ესთეტიკას, რომელიც მისი აზროვნების უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს. მოაზროვნის ესთეტიკური კონცეპციის საწყისები მის ფილოსოფიურ სისტემაში უნდა ვეძებოთ. მთავარ წყაროს, რომელიც ასაზრდოებდა ჩერნიშევსკის იდეოლოგიურ მიმართულებას — წარმოადგენდა ფეიერბახის ანთროპოლოგიური მატერიალიზმი. თვით ჩერნიშევსკი უმართებულად ამცირებდა ამ მხრივ თავის როლს. იგი უბრალოდ კი არ თარგმნის ფეიერბახის იდეებს ესთეტიკის ენაზე, (როგორც თვითონ წერს), არამედ ბევრ შემთხვევაში თავის მასწავლებელზე შორს და ღრმად მიდის.

ფეიერბახში გერმანულმა კლასიკურმა ფილოსოფიამ პირველად თავისი დასასრული. ფეიერბახი, თუმცა „ჰეგელის ფილოსოფიის ნაყარი ყლორტი იყო“ (ენ გ ე ლ ს ი), მაგრამ მისი ესთეტიკა განვითარდა, როგორც რეაქცია ჰეგელის ესთეტიკურ სისტემის წინააღმდეგ. ჰეგელის ფილოსოფიის მიხედვით სინამდვილე აბსოლუტური სულის გამოვლენის წარმოდგენაა. ფეიერბახმა გაბედულად გაილაშქრა ჰეგელის ფილოსოფიის წინააღმდეგ: ამ ამოსავალი პუნქტის წინააღმდეგ და „ბუნება სული საფუძვლად“ გამოაცხადა. ამ ხაზით წარმართა ფეიერბახის ბრძოლა ჰეგელის წინააღმდეგ: თუ ჰეგელთან ხელოვნების გენეზისი „აბსოლუტური სული“ იმარნებოდა, ფეიერბახმა ხელოვნების საფუძ-

ვლადობიქტური სინამდვილე აღიარა. ამ ბრძოლაში ფეიერბახი გამარჯვებული გამოვიდა. მაგრამ ფეიერბახმა ვერ შეძლო სოციალისტური პროცესის სწორი ახსნა. იგი ვერ ჩაწვდა საზოგადოებრივ ურთიერთობის ნამდვილ ბუნებას და ადამიანი განიხილა არა როგორც საზოგადოების პროდუქტი, არამედ როგორც ბიოლოგიური არსება. ფეიერბახის უდიდესი ნაკლი აგრეთვე მდგომარეობს იმაში, რომ მან ჰეგელის იდეალიზმის უარყოფასთან ერთად უარყო მისი დიალექტიკაც.

რამდენადაც ფეიერბახის ფილოსოფიის პრინციპები ჩერნიშევსკის ესთეტიკურ სისტემის ლოგიკურ პირობას წარმოადგენდა, პირველის არსებითი შეცდომები უმეტესად ჩერნიშევსკის ესთეტიკაშია გადმოვიდა. ჩერნიშევსკის, თავის მასწავლებლის მსგავსად, თვალში მოსჭრა ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიის ძლიერმა შექმა: მან ვერ შეამჩნია დიალექტიკა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩერნიშევსკის ნაწილობრივ მინიჭ აქვს დიალექტიკური მიდგომა საგნებისა და მოვლენების მიმართ. „რუსეთის გენიალური მოაზროვნე“ უდიდესი ინტუიციის წყალობით ზოგჯერ სწვდება ამ უნივერსალურ მეთოდს. „ჩერნიშევსკი თავის ცნობილ დისერტაციაში: „Эстетические отношения искусства к действительности“—იწყებს „მშვენიერების“ ცნების განმარტებით. თუ მშვენიერება იდეალისტ-ესთეტიკოსთა კონცეპციით იყო „იდეისა და სახის მთლიანობა“, ან „იდეის სრული გამოვლენა ცალკეულ საგანში“—ჩერნიშევსკი, ფეიერბახის ანთროპოლოგიკურ ფილოსოფიიდან გამოსული, მთლიანად უარყოფს ამ იდეალისტური მსჯელობის არსს—მშვენიერების აბსოლუტური იდეის არსებობას. „მშვენიერება

არის ცხოვრება“. მშვენიერია ის საგანი, რომელიც თავის თავში გამოხატავს ან გვაგონებს ცხოვრებას“. ჩერნიშევსკიმ უარყო მშვენიერება როგორც აბსოლუტური იდეის გამოვლენა. მაგრამ მას აქარ დაუსვამს წერტილი. იგი ამასთან ერთად დღენის მშვენიერების ცნებიდან ანტი-ისტორიკოსობის, ანტი-სოციალურობის ელემენტს და მის ადგილს სოციალურ შინაარსს უთმობს. ჩერნიშევსკის განსაზღვრით, მშვენიერება უაღრესად რელატიურია: სხვადასხვა კლასს სხვადასხვაანირად ესმის იგი. ამ დებულების დასამტკიცებლად, მას მოყავს მაგალითი, სადაც დაპირისპირებულია სხვადასხვა სოციალური წრის ესთეტიკური იდეალი. ჩერნიშევსკი ესთეტიკურ სინამდვილის სარჩულად უტილიტარულ მოსაზრებას უდებს. მისი აზრით მზე იმით არის ესოდენ მომზიბლველი, რომ ის ადამიანზე კეთილმყოფელად მოქმედებს. ხელოვნება იმით არის მომზიბლველი, რომ იგი კაცობრიობის კეთილდღეობას ემსახურება.

რეალიზმის საფუძველზე მდგარა ჩერნიშევსკიმ დარღვია სპეკულატურ ესთეტიკის საფუძველი: მან მშვენიერების ანალიზის დროს გამოსავალ წერტილად აიღო მგრძობელობითი კონკრეტული სინამდვილე და დაუპირისპირა აბსოლუტურ იდეას. სინამდვილის რეაბილიტაციიდან ჩერნიშევსკი ლოგიკური გზით წავიდა იდეალისტური ესთეტიკის მეორე დებულების წინააღმდეგ, რომლის მიხედვით ხელოვნება შეგავსებს სინამდვილეს და მასზე მაღლა დგას. ხელოვნება ცხოვრების ანარეკლია—ამბობს ჩერნიშევსკი—და მისი სინამდვილეზე მაღლა დაყენება აბსურდია. ხელოვნების ზოგად და უმნიშვნელოვანეს დანიშნულებად ჩერნიშევსკი სთვლის სინამდვილის ასახვას. სინამდვილის ქვეშ იგი გულისხმობს „არა მართო ადამიანის საგნებთან და ობიექტურ ქვეყნის არსებობთან ურთიერთობას, არამედ ადამიანის შინაგან ცხოვრებასაც“. ხელოვნების მეორე დანიშნულება, ჩერნიშევსკის მიხედვით, არის ცხოვრების მოვლენების

ახსნა. ხელოვნება უდიდესს დახმარებას უწევს ადამიანს ბუნებისა და ცხოვრების შესწავლაში. ხელოვნების ყოველი ფაქტი უფრო მეტი სისავსით არსებობს სინამდვილეში, მაგრამ ცხოვრება არ ხსნის თავის მოვლენებს, არ ზრუნავს აქტიუ-მების გამოყვანაზე: მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოებში კი ეს შესრულებულია. მათი დასკვნები ცხოვრებასთან შედარებით არიან უსრულონი, აზრები ცალმხრივია, მაგრამ ჩვენთვის ისინი გენიალურ ადამიანებს გამოუყვანიათ. მეცნიერება და ხელოვნება არის „Handbueh“—ცხოვრების შესწავლის დამწყებისათვის.

ამრიგად, ჩერნიშევსკის აზრით ხელოვნების არსებითს დანიშნულებას შეადგენს: 1) სინამდვილის ასახვა, 2) ცხოვრებისა და ბუნების მოვლენათა ახსნა და 3) მათი შეფასება და მსჯავრის დადება. ასეთია მოკლედ ჩერნიშევსკის ესთეტიკური შეხედულება. მთავარი აქცენტი ჩერნიშევსკის ესთეტიკაში—მსჯავრის დადება. როგორც რეალისტური ფერი-დემოკრატი ჩერნიშევსკი ქვეყნის არა მართო ასახვას, არამედ მოითხოვს მის რეალისტურ გარდაქმნას. ხელოვნება ამ გარდაქმნის იარაღია, ხელოვანი მსაჯულია და ამსახველი სინამდვილისა. ჩერნიშევსკის გავლენა თავისი დროის საზოგადოებრივ აზროვნებაზე ძალიან დიდი იყო. იგი გამოუსწორებელი ფეიერბახის ანთროპოლოგიურ პრინციპებიდან, უმართავდა რა ბრძოლას შელინის ფერემატულით გაკაოწივებულ სპეკულატურ ფილოსოფიას და იდეალიზმის ყოველგვარ სინამდვილეს—ცდილობდა მოხერხებულად ბრძოლის ველი ესთეტიკაში გადაეტანა. ეს ხერხი მით უფრო შესანიშნავი იყო, რომ იმ დროს გაცხოველებულ ინტერესს იწვევდა სწორედ ესთეტიკის საკითხები. ამ ბრძოლაში ჩერნიშევსკიმ გაანადგურა რუსული იდეალიზმის ტრადიციული სინამდვილე და გააშალა რეალისტური რეალიზმის გამარჯვების დიადრომა.

პ. პავლენკოს შერილი ახს. ლავრენტი ბერიასადმი

პავლენკო ლავრენტი პავლენ ძე!

როგორც ხელმძღვანელს მწერალთა ბრიგადის, რომლის ამოცანას შეადგენს ქართული ლიტერატურის შესწავლა და გადათარგმნა, საჭიროდ და სწორად მიმაჩნია ინფორმაცია მოგაწოდოთ თქვენ იმის შესახებ, თუ როგორ იქნა ჩვენი საზოგადოებრიობის მიერ მიღებული ბრიგადის მუშაობა, თუ რა ადგილი დაიჭირა თავისი ხვედრითი წონის მიხედვით მწერალთა ყრილობაზე საქართველოს მწერალთა დელეგაციამ და როგორია ყოველივე ამის შედეგად ქართული ლიტერატურის საბჭოთა კავშირის დანარჩენ ლიტერატურასთან დაახლოების პერსპექტივები უახლოეს დროისათვის.

1. ის ფაქტი, რომ საკავშირო ორგანიზაციის ქართულ ბრიგადაში შევიდა ორი საუკეთესო რუსი პოეტი **ბ. პასტერნაკი** და **ნ. ტიხონოვი**, იმ თავითვე შეგვეძლო ჩავეთვალა კარგი მუშაობის საწინდარად. მაგრამ არავინ მოელოდა იმას, რაც მოხდა. პირველი თარგმანები პასტერნაკისა „იზვესტიაში“ და ნ. ტიხონოვისა „ხვეზდაში“ დაბეჭდილი ნამდვილ დიდ ლიტერატურულ მოვლენად გადაიქცნა რუსეთის საბჭოთა პოეზიაში. ამ ლექსების ღირსება არ შეიძლება მივაწვროთ მხოლოდ ჩინებულ მთარგმნელებს, თვით ლექსების მხატვრობა, სალი, თბილი გრძობა და მასალა უდიდეს ინტერესს იწვევდნენ მკითხველებში.

ქართული ლექსები სასურველ ლიტერატურულ მასალად გადაიქცნა ჩვენს უდიდეს ყურნალებსა და გახეთქებში. „მოლოდინა გვარდიამ“, „იზვესტიაში“, „ლიტ. გახეტამ“, „ნოვი მირ“. მა „კრასნაია ნოვ“—მა „30-დენიშ“, „ხვეზდა“, — ყველამ მოათავსა ქართველი პოეტების ლექსები.

პროზის საქმე მთლად ასე კარგად ვერ წავიდა. მისი გამოცემა დაგვიანდა გა-

მომცემლობათა შეერთების გამო. მაგრამ უკვე ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ლეო ქიაჩელის ნოველათა კრებულს, ს. კლდიაშვილისა და კ. ლორთქიფანიძის რომანების ძალიან თვალსაჩინო წარმატება ხდებდა. მაგრამ პოეზიის საქმე მაინც გაცილებით უკეთაა. ლენინგრადში **ნ. ნ. ტინიაშვილი**, — ჩვენი ბრიგადის წევრმა „პოეტების ბიბლიოთეკაში“ შეიტანა ახალი ტომეული — ქართველი რომანტიკოსები და მთარგმნელებად შეარჩია საუკეთესო პოეტები; მოსკოვში დაიწყო გრანდიოზული მუშაობა „ქართული პოეზიის ანტოლოგიის“ შესადგენად მესხეთე საუკუნიდან დაწყებული; ხოლო **კამენევმა** „აკადემიაში“ რეალურად მოჰკიდა ხელი რუსთაველის პოემის ახალი თარგმნის გამოცემის საქმეს და ეძებს ამ ნაწარმოებში ათვის საუკეთესო მთარგმნელებს.

გავითვალისწინებთ რა ქართული მხატვრული წიგნის მოსალოდნელი წარმატება რუსულ ბაზარზე, ჩვენი ბრიგადის შემადგენლობიდან წინასწარ გამოეყავით კრიტიკოსი **გოლცევი**, დავაისრეთ მას მთელი მიმდინარე ქართულ ლიტერატურის შესწავლა იმ მიზნით, რომ მოსკოვში გვეყავდეს თუნდაც ერთი რუსი კრიტიკოსი, რომელიც ასე თუ ისე გაერკვევა ქართული ლიტერატურის სახელებსა, თარიღებსა და წიგნებში, და საქმიან ნიადაგზე დაეყენებოთ რუსულად გადათარგმნილ ქართულ ნაწარმოებთა სისტემატური განხილვა.

შეუწყვეტელ ურთიერთობას ქართულ ლიტერატურასთან თითქმის ერთი წლის განმავლობაში ბოლოს მოჰყვა ის, რომ ჩვენი ბრიგადის რამდენიმე წევრმა დაიწყო თავისი საკუთარი შემოქმედებითი მუშაობა ქართული სინამდვილის მასალებზე; მაგალითად, **ტინიაშვილი**, რომელიც მუშაობს „პუშკინის ცხოვრებაზე“, დიდ ადგილს უთმობს მე-40 წლების საქართველოს აღწერას, ოღუა

ფორ შმა დაიწყო რომანის წერა კამოზე, ნიკოლაი ტიხონივი შემოდგომაზე აპირებს საქართველოში განაგრძოს ქართველი პოეტების თარგმნა და შეკრიბოს მისაღები თავისი საკუთარი მოთხრობისათვის. ამ ზამთარს საქართველოში გამოემგზავრება ვფიქრობ მეც, მინდა დავათვალიერო დასავლეთ საქართველო და დავეწერო მასზე.

თარგმანებზე მუშაობა გრძელდება. ეს ზამთარი მოსკოვში გაივლის ქართული პოეზიის ნიშნის ქვეშ.

2. ყრილობაზე ქართველ მწერალთა დელეგაციის გამოსვლას დიდი ინტერესით მოელოდნენ. უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარემ ამბ. **კულიკმა** მოხსენება უკრაინის ლიტერატურის შესახებ დაიწყო ქართული კლასიკური მემკვიდრეობის მიმოხილვით.

ამბ. **ტოროშელიძის** მოხსენება, როგორც ეს აღნიშნა ა. მ. გორკიმ და აგრეთვე ბუხარინმა, დანარჩენ მოხსენებებს შორის ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა. ყრილობა უსმენდა ამბ. ტოროშელიძეს საათნახვერის განმავლობაში იმ დროს, როცა სხვა რესპუბლიკების მოხსენებები, ჩვენდა სამარცხვინოდ, — თითქმის დაცარიელებულ დარბაზში მიმდინარეობდა.

ქართველი დელეგაციის აქტიობა იყო ფრიად მაღალი. მან დღის წესრიგის ყველა პუნქტის მიხედვით ჯერ კიდევ ყრილობის დაწყებამდე გამოჰყო დაახლოებით ათი ორატორი, რითაც მან ცხადპყო, რომ მის წევრებს ბევრი რამა აქვთ სათქმელი ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე საერთო მოხსენებებს მოისმენდნენ. უნდა ითქვას, რომ ამ აქტიობამ რამდენიმედ ვენება მოუტანა თვით ქართველ ამხანაგებს, ვინაიდან სხვა დელეგაციები, რომლებიც საერთოდ უფრო ნაკლებ იყვნენ მომზადებული გამოსვლისათვის, საკამათოდ ეწერებოდნენ

თითქმის მთელი შემადგენლობით. რის გამოც საკამათოდ ჩაწერილთა საერთო რიცხვმა 180-ს გადააჭარბა. კამათი გახსნა ჯავახიშვილმა. გამოვიდნენ კამათში ამხანაგები: ე. უსუქო, მიწევი, შვილი, ტ. ტაბიძე, იაშვილი, დანიანი. დანაშაუნიერებისათვის დროს დარჩა.

ყრილობის მიმდინარეობის პერიოდში საბჭოთა მწერლების სახლმა მოაწყო ორი საღამო — ქართველ პოეტების საღამო და რუსი და ქართველი დრამატურგების შეხვედრა.

პოეტების საღამოს ისეთი წარმატება ხდდა, როგორც არ ხვედრია არც ერთ სხვა საღამოს. მან მოიზიდა ყველა საუკეთესო, რაც კი არის რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, თათრულ და ებრაულ პოეზიაში. ქართული ლექსების წარმატება იყო ფრიად მნიშვნელოვანი. წარმატება ხდებდა აგრეთვე დრამატურგებს.

ალექსი მაქსიმეს ძესთან თათბირზე, რომელსაც დაესწრნენ რესპუბლიკების დელეგატები და ამბ. **კავანოვიჩი**, **ვოროშილოვი**, **უდანოვი**, **მოლოტოვი**, **მიქოიანი**, — ქართული დელეგაციის წარმომადგენლებს ყველა საკითხზე საუბრის დროს ექირათ მტკიცე პოზიცია და მთელი საღამო ჩატარდა უკრაინის და საქართველოს ნიშნის ქვეშ.

საქართველოს დელეგატები გამოდიოდნენ აგრეთვე მოსკოვის ქარხნებში და კულტურისა და დასვენების პარკში.

3. ა/წლის დამთავრებამდე მოსკოვში გამოვა კიდევ ქართულიდან ნათარგმნი 8—10 წიგნი.

წლის ბოლომდე გამოირკვევა „ანტოლოგიის“ კონტურებიც (უნდა შევნიშნო, რომ დღემდე არ არის ამ წიგნის გეგმა). ზამთარში ვანზრახულია მოეწყოს ქართული პოეზიის დიდი საღამო ფართო საზოგადოებისათვის.

საერთო დასკვნად შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ქართული ლიტერატურის მუშაკები ყრილობიდან დაბრუნდნენ ისე, რომ გადაიქცნენ სრულიად საკავშირო საბჭოთა ლიტერატურის განუყოფელ ნაწილად, აქტიურ ნაწილად, ხოლო პოეზიაში წამოყვან ნაწილადაც კი.

და ეზმანება ვერა პავლოვნას სიზმარი, საიდანაც შორიდან ესმის ნაცნობი, მეტად ნაცნობი ხმა, ახლოს, სულ ახლოს, —

როგორ ელვარებს ბუნება ჩემ გარშემო, როგორ ბრწყინავს მზე და იცინის ველი.

ვერა პავლოვნა ხედავს, გრძობს, რომ ეს ნამდვილად ასეა, ასე.

— მიცანი ახლა? იცი შენ ჩემი შევნიშნა? მაგრამ ჯერ არც შენ და არც არავინ იცნობს მთელს ჩემ მშვენიერებას. მაშ ნახე, რა იყო, რა არის ახლა და რა იქნება. ისმინე და ნახე.

შთის ძირას, ტუის პირას, აყვავებულ ბუჩქნარში, მაღალ და დაბურულ ხეივანში აღიმართა სასახლე.

გავსწიოთ იქეთ. მიდიან, მიჰქრიან.

დიდებული ზეიმი. სასმისეაში ვლავს ღვინო, ელავს მოხეივითა თვალები. ხმაური და ხმაურში ჩურჩული, სიცილი, ხელი იდუმალ იჭერს ხელს, იდუმალი და უხმო კიჟინა უეცრად. — „სიმღერა! ჩქარა სიმღერა! უსიმღეროდ ვერ სძლებს მხიარულება“. დგება პოეტი. მის შუბლს და აზრს ანათებს შთაგონება, ბუნება ყველა თავის საიდუმლოებას უმხელს მას, ისტორია მთელ თავის მსვლელობას და აზრს გადაუშლის, ათასეული წლების ცხოვრება მის სიმღერაში რკალეზად ირხვევა სურათთა ცვლაში.

ისმინე, ისმინე და ნახე.

შენობა, უდიდესი, უზარმაზარი შენობა, ასეთი მხოლოდ რამდენიმე თუ იქნება და ისიც დიდს, სატახტო ქალაქებში, მაგრამ არა, ასეთი ჯერ არსად არ ყოფილა და არა! იგი დგას ყანებასა და მინდვრებს, ბალებსა და ხეივნებს შორის. ყანა — ჩვენი პურის ყანა, მხოლოდ არა ისეთი როგორც ჩვენი, ხშირზე ხშირი, ბარაქიანზე ბარა-

ვერა პავლოვნას მეოთხე სიზმარი

ნ. ბ. ჩერნიშვესკი

„ვერა პავლოვნას მეოთხე სიზმარი“ ამოღებულია ნ. გ. ჩერნიშვესკის რომანიდან ანუ „მოთხრობიდან ახალ ადამიანებზე“, როგორც თითონ იგი უწოდებს თავის „რა ვაკეთოთ?“. რომანი დაწერილია 1862 წ. ვერა პავლოვნა ერთერთი მთავარი გმირი-ქალი ამ ნაწარმოებშია — თითქო ხედავს სიზმარებს, სადაც ჩერნიშვესკი ქარაგმული ხერხებით აწერს მომავალ სოციალისტურ წესწყობილებას ისე, როგორც იგი წარმოდგენილი ჰქონდა მისი დროის და სოფლმხედველობის მოწინავე რევოლუციური ინტელიგენციას. სიზმრისა და ფანტაზიის ელემენტს წარმოადგენენ ნაწყვეტში მოქმედი რამდენიმე და, რომელთა ღონისძიებას და მოღვაწეობას (ცენზურის თვალის ასახვევად) მიეწერება სოციალისტური დამყარების საქმე, თუმცა ბოლოს ჩერნიშვესკი გასაგებად მოულოდნელად ახალგაზრდობას იმუშავს იმისთვის, რომ დააჩქაროს მომავლის აწმყოში გადმოტანა. ეს მოულოდნელია გავლენილი იყო. „რა ვაკეთოთ?“ შეიქნა ყველაზე საყვარელი და საუკეთესო წიგნი რუსეთის რევოლუციონერთა თაობებისათვის. იგი იყო მოქმედების სტიმული და პროგრამა.

ჩვენი წიგნი, სოციალისტური მშენებელთა თაობისათვის, რომელთათვისაც „სიზმარი“ ცხადად ხდება, წარსულის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ჩერნიშვესკის რომანი რჩება მეტად ამაღლებულ დოკუმენტად, მით უმეტეს, რომ მასში არის ელემენტები წინადახედვისა: უდაბნოს აყვავება, ადამიანთა ურთიერთობის შეცვლა, ახალი ადამიანის დაბადება, ელექტროს, ალუმინის, ტექნიკის ყველა შესაძლებლობის გამოყენება — ეს ხომ ყველაფერი ფაქტი ხდება: ჩერნიშვესკის რომანი დღესაც მუშაობს, ემსახურება ბოლშევიზმის საქმეს.

(რომანის ეს ნაწილი ქართულად იბეჭდება პირველად. თარგ. ალი არსენიშვილისა)

ქიანი. ნუთუ ეს პურია? სად ვაგონილა ასეთი თავთავი? ვის უნახავს ასეთი მარცვლი? მხოლოდ სათბურში თუ შეიძლება ახლა ასეთი მარცვლიანი თავთავის გამოყვანა. მინდვრებიც ჩვენი მინდვრებია, მაგრამ ასეთი ყვავილები ახლა მხოლოდ ბალებში და ყვავილნარებშია. ბალები, ლიმონისა და ფორთოქლის ხეები, ატამი და ქერამი, საკვირველია, როგორ ხარობენ ისინი ღია ცის ქვეშ? ჰო, აი მათ გარშემო კოლონიები დგანან, მაგრამ ახლა საზაფხულოდ ისინი გაუხსნიათ, ესაა სათბურები, საზაფხულოდ თავისუფლად გაღებულნი. ხეივნებიც ჩვენი ხეივნებია: მუხა და ცაცხვი, ნეკერჩხალი და თელა, — ხეივნები ისედაცაა როგორც ახლა; მათ საგანგებოდ უვლიან, ვერც ერთ დაავადებულ ხეს ვერ შეხედვით, ხეივნები ისეთივეა, მხოლოდ ისინი-ღა დარჩენილან ისე, როგორიცაა ახლა. მაგრამ შენობა? — რა არის ეს, როგორია მისი არქიტექტურა? ახლა მსგავსს ვერ იპოვით თუმცა ერთ შენობას შორეთულად თუ შეხედვით მას თითქო, — აი, იმ სა-

დგას: თუჯი და შუშა, თუჯი და შუშა — სხვა არაფერი. მაგრამ არა: ეს მხოლოდ გარეგნობა, კედლების გარეგანი ხედავ; შიგნით კი ნამდვილი სახლია, უზარმაზარი სახლი: მას, როგორც საფარი, თავზე ახურავს ეს თუჯისა და ბროლის შენობა. იგი გადახურვია მას, როგორც ყველა სართულების გარშემო შემოვლებული ფართო გალერია. რა მსუბუქია ამ შინაგანი სახლის არქიტექტურა, რა პატარა მანძილია ფანჯარათა შორის დატოვებული, — ფანჯარები კი უზარმაზარი, სართულების მთელი სიმაღლის ოდენა! ქვის კედლები თითქო პილასტრების რიგია, გალერიაში გამავალ ფანჯრების ჩარჩოს რომ ქმნიან. როგორია ეს ქერი ან იატაკი? რისგანაა ნაკეთები კარები და ფანჯრის ჩარჩოები? რა არის ეს? ვერცხლი? პლატინა? მთელი დგამიც თითქმის ასეთია, — ხის დგამი მხოლოდ აქა-იქ ჩანს, თითქო ახირებული სურვილის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ რისგანაა მთელი დანარჩენი დგამი. იატაკი და ქვი? „სინჯე და გადადვი ეს სავარძელი“, — ამბობს ვიღაც. ეს ლითონის დგამი ჩვენი კაქ-

ლის ხის დგამზე უფრო სუბუქია. ნეტა რა ლითონისაა? ჰო, ვიცი, მინახავს ასეთი ფირფიტა, იგი უშუშასავით სუბუქი იყო, ახლაც შეხედვით მისგან გაკეთებულ საყურეს, დასაბნევ სამკაულს. ჰო, ამბობდნენ, რომ ადრე თუ გვიან ალუმინი შეცვლის ხეს და, შესაძლოა, ქვასაც. რა რიგ მდიდრულად ჩანს ყველაფერი! ყველგან ადამიანი და ალუმინი, ფანჯარათა შორის დარჩენილ სივრცეს ფარავს უზარმაზარი სარკები. რა ხალიჩებია ყველგან დაგებული! აი, ამ დარბაზში იატაკის ნახევარზე ხალიჩა არ ავა და ჩანს, რომ იგი სულ ალუმინისაა. ხედავ, აი აქ როგორი მქრქალია იატაკი, ეს იმისათვის, რომ იგი ლიბი არ იქნეს, — აქ ბავშვები თამაშობენ, მათთან დიდებუც არიან, აი ამ დარბაზშიაც ხალიჩა არაა დაგებული — „იგი ცეკვა — თამაშისთვისაა მოწყობილი“. ყველგან სამხრეთის მცენარეები და ყვავილებია, მთელი სახლი ზამთრის უზარმაზარი ბაღია.

მაგრამ ვინ ცხოვრობს, სასახლეზედაც ამ უმშვენიერეს, სახლში. აქ ცხოვრობენ მრავალზე მრავალნი, ჩვენ მაღე დავინახავთ მათ, აი, ისინი კიდევ მიდიან იმ მოაჯირზე, გალერიის ზედა სართულებიდან რომ გადმოხეწილა. ან აქამდე როგორ ვერ შეამჩნია ისინი ვერა პავლოვნამ? ყანების სივრცეზე ადამიანთა ჯგუფები გაბნეულან. მამაკაცები და და ქალები, მოხუცი, ახალგაზრდა და ბავშვები ერთმანეთში არეულან. ახალგაზრდები მაინც ჰარბობენ. მოხუციები ცოტაა, მოხუცი ქალები თითქმის არაა. ბავშვები მეტია მოხუცებზე, მაგრამ ბევრი არაა. ნახევარზე მეტი ბავშვი შინ დარჩენილა, საქმეს აკეთებენ. ისინი აკეთებენ თითქმის ყოველგვარ საშინაო საქმეს, და ძალიანაც უყვართ ეს. მათთან რამდენიმე მოხუცი ქალია. მოხუცი საერთოდ ძალზე ცოტაა, რადგან აქ ჯანსაღი და მშვიდი ცხოვრების გამო მეტად გვიან ხუცდებიან. სიახლე დიდხანს ენახებათ. ყანაში მომუშავე ჯგუფთა შორის თითქმის ყველა მღერაან. ნეტა რას აკეთებენ ისინი?

ნ. გ. ჩერნიშევსკის გავლენა საქართველოში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე)

ნიკო ნიკოლაძე მალე (1880 წლიდან) კიდევ უფრო მარჯვნივ გადაინარა და სულ გავიდა ამ ჯგუფიდან, როგორც რუსული კაპიტალიზმის ორიენტაციის მიმხრე. ხალხისთვის მეთრე მიმდინარეობას—ანარქისტულ ბუნტარულს—არც ჰყოლია საქართველოში თავისი გამოხატული აღნიშნული ხანაში, ხოლო, რაც შეეხება მესამეს—რევოლუციურ-სოციალისტურ მიმდინარეობას, რომლის შემოქმედით და წინამძღოლი ნ. გ. ჩერნიშევსკი იყო, უნდა გადაჭრით ითქვას, რომ მან ჩვენში თავისი გამოხატულება და განხორციელება თერგ-დალეულთა გარეშე შეძლო.

2

ნ. გ. ჩერნიშევსკის რევოლუციურ-სოციალისტური იდეების ჩვენში, საქართველოში (მე-60-70 წლებში), მწარლობის გზით უფრო მტკიცედ გამტარებელი იყო მხოლოდ მწერალი—ანტონ ფურცელაძე.

ის შეეცადა დამდგარიყო ნ. გ. ჩერნიშევსკის რევოლუციურ-სოციალისტურ პოზიციას, აღიარებდა ვერობის უტოპური სოციალისტის პრინციპებს.

ის, რაც ნიკო ნიკოლაძემ და გიორგი წერეთელმა ვერობაში მოგზაურობით, რევოლუციონერ და სოციალისტ ემიგრანტთა წრეებში შეცდომით, რუსულ ხალხისთვის დიდ ლიდერების პირად ნაცნობობით და დახმარებით ვერ აითვისეს, შედარებით უფრო კარგად შეიგნო და შეისისხნორცა მუდმივად ტფილისში მცხოვრებმა, ქართველ თავადაზნაურულ პატრიოტულ-ინტელიგენციის წრეში ნამყოფმა ანტონ ფურცელაძემ. მისი მასწავლებელი ერთადერთი იყო: რუსული ხალხისთვის ლეგალური და არალეგალური ლიტერატურა, როგორც წიგნების სახით, ისე ჟურნალ-გაზეთების.


მან არ იცოდა, ცხადია, თუ როგორ შეაფასა მარტის ნ. გ. ჩერნიშევსკის პიროვნება, როცა მას უწოდა „რუსის დიდი მეცნიერი და კრიტიკოსი“, მაგრამ ის მთელი თავისი არსებით გრძობდა, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკი ის ბუმბერაზი იდეოლოგია თავისი დროის, რომელიც წინმსწავლობის სწორ გზას უნათებს და უჩვენებს მილოჩინან მასებს. ანტონ ფურცელაძე ჯერ ისევ 1863 წელს ეუბნებოდა ილია ქავჭავაძეს უფრო „ცისკრიდან“: „არა ჰგავდათ ჩვენ და თქვენ ამ შემთხვევაში ბელისკობა და ჩერნიშევსკობა არ გამოგადგება: ჯერ კაცია—არის უნდა მიგვივადღეს იმთა და მერე მივაბოთ“ (იხ. 1863 წლის უფრო „ცისკრის“ მარტის და აპრილის №-ში გვერ. 445).

ამავე წლიდან (1863 წ.) ფურცელაძემ ილიას, როგორც თერგდალეულთა ბელადს და უფროსს „საქართველოს იმამებს“ რედაქტორ-ხელმძღვანელს, ყველა იდეურ ფონტიდან გაშლილი ბოლო გამოუცხადა და უპირველესად მას „მიმართულება“ დაუწვინა. შენ არ იცი მიმარ-

თულება რას ნიშნავს, ეუბნება ის ილიას, შენ შენი „იმამებ“ მართა გარეგნობით დაამსგავსე ჩერნიშევსკის „Современник“-ს და შინაარსი კი სულ სხვა მიეცი.

„ოპ. მიმართულება, მიმართულება“, შენიშნავს რურცელაძე დაცინვით ილიას და განაგრძობს: „მეტად თუ როგორ ეყურება „იმამებს“ მიმართულება? თუ ისე ეყურება, როგორც ტენტეტნიკოვს—ისტორია, კარგი კი ენება! ეს ფანაზა—როგორც ტენტეტნიკოვს—ისტორია“—ამჟამად გვიჩვენებს იმას, თუ საიდან და რომელ არსენალიდან მიღებულ ყუმბარებს უშენდა იგი თავის იდეურ მოპირდაპირეს.

ფურცელაძემ რომ ნ. გ. ჩერნიშევსკის გავლენაში იყო, ეს პირველად მტკიცდებდა მის „ავანაჟებიდან“, სადაც მას მთავარ გმირად გამოჰყავს არსენალსებური ტიპის ყაჩაღი, რომელსაც ალაპარაკებს: „თითო ოროლა წიგნის ახრი ენლაქ მაქვს გულში ჩარჩენილი... მასოსეს, მენტარებიდა მაგ ზახაე დადგომა და ველოდი: როდის იქნება გახიზარდო, ესეები კარგად გა-



ვიგო და გავიდე მეთქი ამ გზაზე... აქვე უნდა შევინშნოთ ისიც, რომ ფურცელაძეს ეს დროა მილოჩინის „ყაჩაღების“ მიზანმიმართულ დაწერილი და ეს გარემოება, ცხადია, მის რევოლუციონერობით გატაცებას მოწმობს. მეორე მობრძოლ და საუკეთესო მოთხოვნაში („გვი მართალთა“) გამოყენებული ყავს რევოლუციონერ ქართველი ინტელიგენტი, „კრიტიკულად მთავრობე პიროვნება“, რომელიც გატაცებულია ახალი რევოლუციური იდეებით და მე-70 წლების საქართველოში აქ იდეების პრაქტიკაში გატარების საშუალებას რომ ვერ პოუ-

ლი ას, საფრანგულ მიმდგომარეობა და იქ პარიზის კომუნარტა და მწველ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობას ი. ეს ი. ა. ი. ხელში და ბრძოლა-დებზე იღუპება. ანტონ ფურცელაძე 1869 წლიდან ჟურნ. „მნათობში“ თავის გარეშე იკრებს ახალგაზრდა მწერლებს. მოსკოვში იქნა მისი მწველი, თარხან-მორჩა და თავან-წირული იერიშებით მიღის ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის და გიორგი წერეთლის და სხვა თერგდალეულების წინააღმდეგ (იხ. უფრო „მნათობი“ 1871—2 წწ №-ის ანტ. ფურცელაძის სტატია „ჩვენი კუდაბიკა“ და სხვა...)

ანტონ ფურცელაძე 1873 წლიდანვე ითვლებოდა აქტიურ და ერთ-ერთ დამამარტებელ წევრად იმ ხალხისთვის რომლებიც საქართველოში, რომელიც თავის რიგებში ისეთ მთავრებს ითვლიდა, როგორც იყვნენ: მ. ყიფიანი, ვანო ჯაბაძე, გიორგი მაიაშვილი და სხვ. (იხ. ჩემი მონოგრაფია „ანტონ ფურცელაძე“).

ამის გარდა კიდევ უფრო საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოში სხვას, გარდა ფურცელაძისა, არავის უქისია მოუცა ვერობის ცნობილ უტოპისტ-სოციალისტების მიმდებრების პოპულარიზაცია. ანტონ ფურცელაძემ ამ მიზნით რამდენიმე ვრცელი სტატია მიათავსა უფრო „მნათობში“ გახელოვანებით „ჩვენი სალოლოველო“ და სხვა და, ვფიქრობ, ესეც მან ჩაიღობა ნ. ჩერნიშევსკის იდეოლოგიის გავლენით (იხ. უფრო „მნათობი“ 1871—2 წწ №-ები).

ამას ამჟამად მოწმობს ის გარემოებაც, რომ ჩვენს მწერლობაში თითქმის არავის მიუტყვევია ყურადღება გარდა ანტონ ფურცელაძისა ნ. ჩერნიშევსკის შესანიშნავი რომანისთვის, „Что делать“, რომელშიაც ისე წარმტაცად არის დახატული საწარმოო კომუნები (ამ რომანის გმირი ქალის, ვერა პავლოვნას სიხმრები).

მან ამ რომანის გავლენის ქვეშ დაწერა თავისი პირველი მოთხრობა—„სანის თავადასავალი“ და უფრო „ცისკრის“ 1866 წლის №№-ში მიათავსა. მოთხრობა მხატვრული მხრით მდარე გამოდგა და ეს აღნიშნა კიდევ თავის ორგანოში—„დროებაში“ გიორგი წერეთელმა, მაგრამ ამასთან ისიც აღნიშნა, რომ ის დაიწერა „კარგი აზრების ზეგავლენით“. ფურცელაძეს არ მოეწონა თავისი რომანის პრესისა ანეთი შეფასება და მან თვითონ იკისრა ამ თავისი მოთხრობის განხილვა—გარეგნა. ეს მისი კრიტიკული წერილი თავისივე მოთხრობაზე სახელწოდებით—„მეურთხელები სურათი“—დაბეჭდა თვითონ გიორგი წერეთელმა 1867 წლის „დროების“ №№-ში—35—6—7—8 (ოთხი ფელტონია)

და შემდეგი სარედაქციო შენიშვნაც გაუკეთა: „ამ სტატიაში ბევრი კარგი აზრებია გამოხატული და კარგი მიმართულებაც არის“. აი ეს „ბევრი კარგი აზრები და კარგი მიმართულება“, რამაც მაშინ გიორგი წერეთელი მოხიზრა, როგორც ვითომდა ნაროდნიკი, გადმოღებული იყო ნ. ჩერნიშევსკის რომანიდან—„Что делать“—დან: და თუ ა. ფურცელაძეს არსად თავის სტატიაზე არც მოჰყავს ცნობები ჩერნიშევსკის ნაწერებიდან, არც ასხეებს მას, ეს მხოლოდ იმ დროინდელი პოლიტიკური ცენზურული პირობებით აიხსნება.

ნ. გ. ჩერნიშევსკიმ ამ თავის მხატვრული ნაწარმოებით კიდევ უფრო მეტი გავლენა მოახდინა საქართველოს მთავრობე ახალგაზრდობაზე. ტფილისის სემინარიაში ის ისე, როგორც რუსეთის უნივერსიტეტებში—მეორე საზარებელ ითვლებოდა. პირველი (სამედიცინო სკოლა) და ოთხი მანარობის სახარეო) დავრიდო და უარყოფილი იყო ყოველი ცენტრალური ბერძენ „განვითარებული“ სემინარიის მირი; და სხვინ ნ. ჩერნიშევსკის რომანზე „Что делать“ შეხედაცენ—ახალი, ნეტარი მთავრობის წარმომადგენლებს. ყოველი მათგანი ამ მიზნის მიხედვით, რომ „Что делать“ წაეკითხა, მხად იყო ყოველგვარი მსხვერპლი გაელო. სემინარიის მთავრობაც ამიტომ ისე ინკვიზიტორული იტუიტური ზომებით დევნიდა „Что делать“ მკითხველ სემინარიელთ.

დასასრულ ნ. გ. ჩერნიშევსკის არალეგალურ რევოლუციურ ნაწერებს დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენში. და ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ამ გავლენამ ჩვენში, თუნდა გვიან (80-იან წლებში) მასიური ხასიათი მიიღო.

ეს არის არალეგალურად აღბეჭდილი (გეგმურად) ბროშურა „ოთხი ძმის ზღაპარი“ (Сказка о четырех братьях). არ ვიცი, რამდენად გავლენილია ამ ბროშურის თანამედროვე ახალგაზრდობა, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ „საქართველოში ვერ ნახავთ ისეთ ცხრას ხუთეული“—რევოლუციონერ აქტიურად მონაწილე მუშასა და გლეხს, რომ ეს ბროშურა არ წაეკითხოს და დღესაც არ იკონებდეს მის შინაარსს.

რუსეთში ეს ბროშურა მე-60 წლებში დაიბეჭდა და გავრცელდა, მისი შინაარსი ბატონ-ყმურ რუსეთის პირობებთან იყო შედარებული, მაგრამ მას 1905 წლისათვისაც არ დაუკარგავს გამარეგოლუციონერებელი მნიშვნელობა გლეხურ და მუშურ მასებისათვის.

პირველად ის ჩვენში თარგმნა სემინარიელმა რევოლუციონერმა ხალხსანანა გოლა ჩიოქაძემ (1885 წელს) და მანვე დაბეჭდა ის ახმ. მიხა ჩოდრი შვილის მიერ სახელდახელო პატარა ხის დახატვა, რომელიც მიხას გადმოცემით, ჩამარხულ იქნა იმავე წელს ნ. ჭიჭინაძის ძველ ეზოში (მთაწმინდაში). პრიმიტიული ხის დახატვა, ეს პირველი ცდის ნიმუში ჩვენებური არალეგალური სტამბებისა, სამუდამოდ ჩაიხრება მიწაზე და ვაჭრა, მაგრამ მასზე აღბეჭდილი ბროშურა მთელ საქართველოს მთელ და მრავალი ათასების გარეგოლუციონერებს შეუფერო ხელი. ეს ბროშურა, როგორც ბევრ ძველ რევოლუციონერისგან მაქვს გავიწილი, მრავალჯერ იყო აღბეჭდილი გეგორგრაფით შემდგომშიც და არალეგალურად ვრცელდებოდა ფართ—ბათუმიდან—ბაქომდე.

დრონი გამოცვალენ, ჩერნიშევსკის გამგრძელებელ ბოლშევიკებმა არცა თუ მიიღეს სოციალისტის მფეა, არამედ განტვირთეს იგი უტოპიურობისგან, აქციეს მეცნიერებად და ახორციელებენ კიდევ.

ნ. ჩერნიშევსკის იდეები ხანგრძლივი აღმოჩნდნენ, იმდენად ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი, რომ მათი შემოქმედის გარდაცვალების 45 წლის თავზედაც, დიდი კმაყოფილებით ვიგონებთ, ვითვალისწინებთ და ჩვენს ძველ მასწავლებლის, ნ. ჩერნიშევსკის სახელს დღესაც დიდი პატივისცემით და მადლობით ვიგონებთ.

ისინი მკიან ჰურს. რა სიჩქარით მუშაობენ! ოლონდაც, ჩქარა იმუშავენ და იმღერებენ კიდევ! მათ მაგიერ თითქმის ყველაფერს მანქანები აკეთებენ. ისინი მკიან, ძნებსაც ჰკრავენ და ადგილზედაც მიაქვთ,—ადამიანები კი მხოლოდ მიდი-მოდიან და მანქანებს ხელმძღვანელობენ. რა კარგად მოწყობილან ისინი. მცხუნვარე დღეა, მაგრამ ვითომც არაფერი. ყანის იმ ნაწილზე, სადაც ისინი მუშაობენ, ჰაერში დიდი ფარდავია გადაფენილი. და, როგორც კი გადაინაცვლებენ ისინი სამუშაო ადგილს, ფარდავიც მათ მიჰყვება—და საამო სიგრილე ყველგან სდევს მათ. ჩქარა და მხიარულად მიდის მათი მუშაობა. სიმღერაც ხომ თავისით მიდის, ასე მეც კი მოვკვიდი! ო, ეს სიმღერები, სიმღერები სულ უცხო და ახალი. ჩვენი ახლანდელი სიმღერაც მოვიგონოთ:

ვიცხოვრებთ მე და შენ აქ ბატონურად:

ეს ხალხი ჩვენი მეგობრებია,—და რაც კი გსურს, სულო და გულო, ნატერისთანავე აქ გააჩენენ...

მუშაობა მორჩა, ყველა შენობისაკენ მიისწრაფის, შევიდეთ დარბაზში, ვნახოთ მათი პურობა, ჭამა-სმა. ისინი ყველაზე უფრო დიდ დარბაზში შედიან. დარბაზის ნახევარი მაგიდებს უკავია. სუფრა გაშლილია—ვინ მოთვლის რამდენია მოსადილე? ათასზე მეტი იქნება: „მაგრამ ყველანი კი არ მოსულან აქ. ვისაც სურდა, შინ წავიდა სასადილოდ“. ყველაფერი ეს დაამზადეს იმ მოხუცებმა და ბავშვებმა, რომელნიც ყანაში არ გასულან. საქმის მომხადება, შინაური სამუშაო ოთახების დალაგება—ყველაფერი ეს ზოგისათვის მეტად მსუბუქი სამუშაოა, იგი უნდა შეასრულოს მან ვი-საც ჯერ არ შეუძლია და ან უკვე აღარ შეუძლია სხვა საქმის გაკეთება“. რა მშვენიერი მორთულობაა. სულ ალუმიანი და ბროლი. ფართო მაგიდების საშუალო ზოლს ფარავს ვაზები ყვავილებით, საკმელი მოტანილია. შემოვიდენ მომუშავენი. დასხდნენ. მათთან ერთად დასხდნენ ვინც დაამზადა სადილი. ვინღა გაუწევთ

სამსახურს? როდის? სადილობისას? რასაჭიროა? სულ ხუთი-ექვსი თავი საკმელია, ცხელი საკმელები ისეთ ალაგას დგას, რომ არ გაცივდება. ხედავ: სიღრმეში მდულარე წყლით სავსე ყუთებია.—შენ კარგად ცხოვრობ, გიყვარს კარგი ჭამა-სმა, თქვი: ხშირად გაქვს შენ ასეთი სადილი?—წელიწადში მხოლოდ რამდენიმეჯერ.—მათთვის კი ეს ჩვეულებრივია: ვისაც სურს ამაზე უკეთესიც მიერთმევა, მაგრამ მაშინ საგანგებო ანგარიშიცაა საჭირო; და ვინც კი არ მოითხოვს არაფერ საგანგებოს, იმასთან შედარებით რაც ეძლევა ყველას, მაშინ საგანგებო ანგარიშიც აღარაა. ყველაფერში ასეა: რასაც თავისი წრის შეძლების მიხედვით მოითხოვენ, მასში საანგარიშო არაფერია, ყოველ საგანგებო ან საუცხოვო რამისათვის—ანგარიშია“.

—ნუთუ ეს ჩვენ ვართ? ნუთუ ეს ჩვენი ქვეყანაა? მე გავიგონე ჩვენი სიმღერა, ისინი რუსულად ლაპარაკობენ. „ჰო, ხედავ შორი-ახლოს მდინარეს,—ეს არის ოკა: ეს ადამიანები ჩვენ ვართ, მეც რუსი ვარ?“ ყველასთვის სამუდამო გაზაფხულია და ზაფხული სამარადისო სიხარული. მაგრამ შენ ნახე მხოლოდ ნახევარი დღის დასასრული, დასასრული მუშაობის და დასაწყისი მეორე ნახევრისა, ჩვენ კიდევ ვნახავთ მათ საღამოს, ორი თვის შემდეგ“.

ყვავილები გახუნდა, ხეებს ფოთლები სცივია. მეზად მოსაწყენი სურათია. „ამისათვის მზერა მეტად მოსაწყენი იქნებოდა. ცხოვრებას აქ ხალისი არ ექნებოდა,—ამბობს უმცროსი და:—მე ეს არ მინდა“. „დარბაზები ცარიელია, მინდვრებში და ბაღებშიაც არავინაა,—ამბობს უფროსი და:—ეს მოგაწყენე მე, ჩემი დის სურვილის თანახმად“.—ნუთუ სასახლე მართლა დაცალიერდა?—„ჰო, აქ ცივა, რატომ უნდა ვიყოთ აქ? ორი ათას კაცისაგან აქ მხოლოდ ათი-ოცი და ისიც უცნაურობის მოყვარული ხალხი თუ დარჩა, ისინი ვისაც სასიამოვნო გართობათ ეჩვენება აქ, ამ ყრუ კუთხე-

ში, მარტოდ-მარტო ყოფნა ჩრილოეთის შემოდგომასთან პირისპირ. რამდენიმე ხნის შემდეგ, ზამთარში, აქ გამუდმებული მიმოსვლა იქნება, მოსვლას იწყებენ საზამთრო სეირნობათა მოყვარულების პატარა ჯგუფები რამდენიმე დღის გასატარებლად ზამთრის წიაღში.

—მაგრამ სად არიან ახლა ისინი?—„ყველგან სადაც თბილა და სასიამოვნოა,—ამბობს უფროსი და:—ზაფხულობით, როცა აქ ბევრი სამუშაოა და კარგი სამყოფი, სამხრეთიდან მრავალი სტუმარი მოდის. ჩვენ ვიყავით სახლში, სადაც მთელი საზოგადოება თქვენგან შედგება. სხვა მრავალი სახლი აშენებულა სტუმრებისათვის, სადაც სხვადასხვა ტომის სტუმრები და მასპინძლები ერთად ბინადებდნენ, ვისაც ვინ მოსწონს, მას უამხანაღდება. მაგრამ მიიღებთ რამრავალ სტუმარს და იმავე დროს თანავემწეებს მუშაობაში, თქვენ წლის შვიდ-რვა—ცუდი თვის განმავლობაში მიდიხართ სამხრეთის მხარეს,—ვისაც სად ესამოგნება. მაგრამ სამხრეთში თქვენ განსაკუთრებული მხარეც მოგპოვებათ, საითქენაც მიიმართება თქვენი უმთავრესი მასა. ამ მხარეს სწორედ ასედაც უწოდებენ „ახალი რუსეთი“—ეს იქაა, სადაც ოდესა და ხერსონია?—ეს იყო შენ დროს: ახლა კი შეხედე, აი სად არის ახალი რუსეთი“.

ბაღებით გარემოცული მთები მათა შორის, ვიწრო ხეები, ფართო ხედაბუნებით. „ეს მთები წინად შიშველი ხრიოკები იყო“.—ამბობს უფროსი და, ახლა ისინი მიწის სქელი ფენითაა დაფარული და მათ კალთებზე, ბაღებში ხარობს უმწვერვალეს ხეების ხეივანი: ძირს, ნესტიან დაბლობში დარჯულია სხვადასხვა ხეების პლანტაციები: მალა ფინიკის პალმები, ლეღები, ვენახები და შაქრის ლერწმის პლანტაციები ცვლის ერთი მეორეს, პურის ყანებიც არის: მაგრამ უმეტესად ბრინჯია. რა ქვეყანაა ეს?—„ვიდეთ ერთი წუთით მალა და შენ დაინახავ მის საზღვრებს“.—შორეულ ჩრდილო-აღმოსავლეთში ორი

მდინარეა, რომელიც ერთმანერთს ერთვის პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ იმ ადგილიდან, საიდანაც იხედება ვერა პავლოვნა. შემდეგ სამხრეთისაკენ, იმავე სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, გრძელი და ფართო ყურე მოჩანს, სამხრეთისაკენ შორს გაწოლილა დედამიწა, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოვდება და სამხრეთის მიმართულებით ამ ყურეს და მეორე ვიწრო ყურეს შუა, რომელიც შეადგენს მის დასავლეთ საზღვარს, დასავლეთის ვიწრო ყურეს და ზღვას შორის, მდებარეობს ვიწრო ყელი. ჩვენ უდაბნოს ცენტრში ვიყოფებით, არა?—ამბობს გოაცებული ვერა პავლოვნა—„ჰო, ყოფილ უდაბნოს ცენტრში. ახლა კი, როგორც ხედავ, მთელი მანძილი ჩრდილოეთიდან, ჩდილო-აღმოსავლეთის იმ დიდ მდინარიდან მოყოლებული უკვე გადაქცეულია უნაყოფიერეს კუთხედ, ისეთ ქვეყანად, როგორც იყო ოდესლაც და კვლავ გახდა ახლა ის ზოლი ზღვის გასწვრივ ჩრდილოეთის მხარეს, რომლის შესახებ ძველად ამბობდნენ, რომ იგი „დუღს და გადადუღს რძით და თაფლად“. შენ ხედავ, რომ ჩვენ არა ვართ შორს დამუშავებულ სივრცის სამხრეთის საზღვრისაგან. ნახეიარკუნძულის მთიანი ნაწილი ჯერ კიდევ რჩება უნაყოფო დასილულ ტრამლათ, როგორც შენ დროს იყო მთელი ნახევარკუნძული. ყოველ წლივ ადამიანები, თქვენ რუსები, სულ უფრო და უფრო სამხრეთისაკენ გწევი უდაბნოს საზღვრებს. სხვები, სხვა ქვეყნებში მუშაობენ: ყველასთვის საკმარისია ადგილი და სამუშაო, თავისუფლება და ბარაქა. ჩრდილო აღმოსავლეთის მდინარიდან მოყოლებული მთელი მანძილი სამხრეთამდე, ნახევარკუნძულის შუამდე ამწვანებულია და აყვავებული. მთელს ამ სივრცეზე, როგორც ჩრდილოეთში, დგანან უზარმაზარი შენობები სამი-ოთხი ვერ-

(დასასრული იხ. შემდეგ გვერდზე)

(დასასრული—დასაწყისი იხ. მეოთხე გვერდზე)

სის ერთმანეთზე დაშორებული, თითქო უზარმაზარი ჭადრაკის სათამაშო ფიგურები, უზარმაზარ დაფაზე. „ჩავიდეთ ქვემოთ, ვნახოთ ერთერთი შენობა“— ამბობს უფროსი და.

ბროლის ისეთივე უზარმაზარი სახლი, მაგრამ უფრო თეთრი კოლონებით. „ისინი იმიტომაც ალუმინისაგან, — ამბობს უფროსი და — რომ აქ მეტად თბილა, თეთრი ნაკლებად ცხელდება მზისაგან, თუმცა თუჯზე უფრო ძვირია, მაგრამ აქაურობას უფრო უდგება“. — აი რა მოიგონეს ამათ კიდევ: ბროლის სასახლის გარშემო, შუა მანძილზე მიიმართება მეტის-მეტად წვრილ და მაღალ სვეტების მთელი წყება და მათზე, სასახლის თავზე მაღლა ნახევარი ვერსი მის გარშემო გადაჭიმულია თეთრი ფარდავი. „მას ნიღაფ ასურებენ წყალს, ამბობს უფროსი და: ხედავ, თოთოვულ კოლონიდან ფარდავს ზევით ამართულია პატარა შადრევანი, რომელიც წვიმასავით იფრქვევა გარშემო, ამიტომაც აქ მუდმივი სიგრილე. ისინი, როგორც სურთ, ისე განაგებენ ტემპერატურას“. — „ხედავ შორს პავილიონებს და კარვებს, ყველას შეუძლია იცხოვროს ისე, როგორც სურს: „მე სწორედ იქეთ მიმავს საქმე და მხოლოდ ამისთვის ვილწვი“. — მაშასადამე, მათთვის ვისაც მოსწონს, დარჩა ქალაქებიც? — „ასეთები ძლიერ ცოტაა, წინანდელთან შედარებით. ქალაქები ცოტა დარჩა, — და ისიც მხოლოდ იმისათვის, რომ ყოფილიყო ურთიერთობის და საქონლის გადაზიდვის ცენტრები, საუკეთესო ნავსადგურები, მაგრამ ეს ქალაქები უფრო დიდია და საუცხოოდ მორთული; იქ მიდიან რამდენიმე დღით გასართობად. დიდი ნაწილი იქაურ მცხოვრებლებისა განუწყვეტლივ იცვლება, იქ მიდიან სამუშაოდ და ისიც ცოტა ხნით“.

— ისინი კი ვისაც უნდა მუდმივად იქ ცხოვრობა? „ისინი ცხოვრობენ როგორც თქვენ ცხოვრობთ თქვენს პეტერბურგებში, პარიზებში, ლონდონებში, — ვის რა ვკითხვებ? ვინ უშლის ხელს? თითოეულმა იცხოვრებს ისე, როგორც სურს: უდიდესი უმრავლესობა 99 კაცი 100-საგან ცხოვრობს ისე როგორც მე და დამ გიჩვენებ შენ, რადგან ეს მათთვის უფრო სასიამოვნო და ხელსაყრელია. მაშ შედი სასახლეში, უკვე კარვად მოსალამურდა, დროა ვნახოთ ისინი“.

— მაგრამ, არა, ჯერ მე მიინდა გავიგო როგორ გაკეთდა ეს. — რა? — „ის, რომ უნაყოფო უდაბნო გადაიქცა უნაყოფიერის ქვეყნად, სადაც თითქმის ყველა ჩვენგანი ატარებს წლის ორ მესამედს“. — როგორ გაკეთდა ეს? რა არის აქ გასაკვირველი, ეს ხომ ერთ და არც ათ წელიწადში გაკეთებულა. მე თანდათან წინ ვსწევდარ საქმეს.

ისინი შედიან სახლში. ისევ ისეთი უზარმაზარი საუცხოო დარბაზი. მთელი ძალით ჩქეფს მხიარულება და თავისუფალი შეება. მზის ჩასვლის შემდეგ, უკვე სამი საათია გასული. დარბაზი სავსეა სინათლით, მაგრამ საიდანაა იგი? არსად არ მოჩანს სანათური ან ლითონ-ტრა, მაგრამ აი, დარბაზის თალიდან გამოიყურება მქრქალი შუშის დიდი კოლოფი და მისგან მოდის სინათლე, — რასაკვირველია სწორედ ასეთი უნდა იყოს იგი სავსებით, როგორც მზის სინათლე, თეთრი, ბრწყინვალე და რბილი, — ჰო მართლა, ეს ელექტრონის სინათლეა. დარბაზში ათასამდე კაცია, მაგრამ იგი თავისუფლად დაიტევდა სამჯერ მეტსაც. „როდესაც მოდიან სტუმრები, ხალხი ამაზე მეტიცაა“. — რა არის დღეს, საგანგებო საღამოა? თუ უპირალო მორიგი? — „რასაკვირველია, — უბრალო“.

ახლანდებურად კი ეს იქნებოდა სასახლის კარის ბალი, ისე მდიდრულია ქალთა ჩაცმულობა: მაგრამ ეტყობა სხვა დროება თვით ტანისამოსს და მორთულობას. არის რამდენიმე ქალი ჩვენი

დროის ტანსაცმელში, მაგრამ ეტყობათ, რომ ისინი ასე გამოწყობილან სახუმაროდ სხვადასხვაობისათვის; ისინი თითონ დასცილიან და აპაპულეებენ თავის მორთულობას, ზოგს ჩაუცვამს აღმოსავლეთის და სამხრეთის სხვადასხვა ტანსაცმელი. ყველა ისინი, უფრო მოხდენილად გამოიყურება, ვიდრე ჩვენი დროის ტანსაცმელები; მაგრამ ყველას სჭარბობს ტანსაცმელი მსგავსი იმისა, რომელსაც ატარებდნენ ბერძნის ქალები ათინის ულამაზეს ხანაში — მეტად, სუბუქი და თავისუფალი. მაშაქაცებს ეცვათ აგრეთვე წელში, თავისუფალი გრძელი სამოსი, რაც მანტიის და მოსახურავის მაგვარი. ჩანს, რომ ეს მათი ჩვეულებრივი საშინაო ტანისამოსია, რა რზე სადა და მშვენიერია იგი! რა რბილად და მოხდენილად იხატება მათ ქვეშ ტანის მოყვანილობა, როგორ ამჟღავნებს იგი მოძრაობათა სიკეთეს! ან რა ორკესტრია, ასზე მეტი მსახიობი და მსახიობი-ქალი, და განსაკუთრებით როგორი ხორაა? — „მთელს ევროპაში ათიც კი არ იყო ისეთი ხმა, რომელსაც შენ ასობით იპოვი ამ დარბაზში, და სხვა დარბაზებშიაც ამდენსავე: ეს იმიტომ, რომ ცხოვრება სულ სხვაა, მეტად ჯანსაღი და მასთან მეტად ლამაზი, გულმკერდიც და ხმაც უკეთესია“. ადამიანები ორკესტრში და ხოროშიაც განუწყვეტლივ იცვლებიან: ერთნი მიდიან, მეორენი ღვებნიან მათ ალაგას, — ესენი მიდიან საცეკვაოდ, ისინი კი მოდიან მოცეკვავეთა რიგებიდან.

ისინი ატარებენ საღამოს, ჩვეულებრივ მორიგ საღამოს, ისინი ყოველ საღამოს ასე მხიარულობენ და ცეკვავენ; როდის უნდა შენახა მე მხიარულების ესოდენი ენერჯია? მაგრამ შეიძლება, რომ მათ მხიარულებას არ ჰქონდეს ჩვენთვის უცნობი ენერჯია? — დილით მათ კარვად იმუშავებს. ვისაც საკმაოდ არ უმუშავია, მას არ უმუშავდება თავისი ნერვები იმისათვის, რომ განიცადოს მთელი სისხვე მხიარულებისა. უბრალო ადამიანთა მხიარულება, როდესაც მათ აქვთ ამის შემთხვევა, უფრო სასიხარულოა, ხალისიანი და სიხილით სავსეა, ვიდრე ჩვენი; მაგრამ ჩვენი უბრალო ადამიანების მხიარულების შესაძლებლობა მცირეა. აქ კი ყველაფერი მდიდარია, უბრალო ადამიანების მხიარულება მოწამლულია გაქირვების და მოუწყობლობის, ტანჯვისა და უბედურების მოგონებით ან მოლოდინით, — ესაა სილატაკის და მწუხარების დავიწყების სწრაფმარაგალი წუთი. და განა შეიძლება სილატაკის და მწუხარების სავსებით დავიწყება? განა სილა არ ვაღდაფარავს უდაბნოს? განა ჭაობის მძიმე ომბივარი არ წამლავს უდაბნოსა და ჭაობის შორის მდებარე კარგ ჰაერთან კარგი მიწის ნაკვეთს? აქ კი არ მოიპოება არც ასეთი მოგონებები, არც მოსალოდნელი სილატაკი და მწუხარება, აქ მოგონებები სავსეა თავისუფალი შრომის, კმაყოფილების და განცხრომის სურათებით, ასეთივეა მომავალიც. რა შედარებაა? ამას გარდა: ჩვენი მუშახალხის ნერვები მხოლოდ ამტანია და ამიტომ შეუძლიათ აიტანონ ბევრი მხიარულება, მაგრამ მათი ნერვები უხეშია და მოკლებულია ათვისების უნარს. ამათი ნერვები ძლიერია ისევე, როგორც ჩვენი მუშახალხის და მასთან ათვისების უმაღლესი უნარის მქონე; მხიარულებისათვის მზადყოფნა მისი ძლიერი და სალი წყურვილი, რომელიც ჩვენ არ მოგვეპოება, და რომელსაც იძლევა მხოლოდ დიდი სიჯანსაღე და ფიზიკური შრომა, ამ ადამიანებში შეერთებულია განცდების მთელ დაწვლილებასთან, რომელიც კი მოგვეპოება ჩვენ. ჯანსაღ მუშახალხის ფიზიკურ განვითარებასთან ერთად მათ აქვთ მთელი ჩვენი, ზნობრივი განვითარების მარაგიც: გასაგებია, რომ მათი მხიარულება, მათი დატკობა, მათი ვნებები ჩვენსაზე უფრო ცოცხალი, ძლიერი, ფართო და სასიამოვნოა. რა ბედნიერი ხალხია!

რაიონული და კოლიტბანუთფილესი გაზეთების რედაქტორები „ლიტბაზეთის“ შესახებ

22 ნოემბერს ჩვენს რედაქციას, საქმიან ურთიერთობის დამყარების მიზნით, ესტუმრენ სილნაღისა და თელავის რაიონულ და პოლიტბანუთფილესის გაზეთების რედაქტორები: ა. კოკილაშვილი და მ. სამაშვილი.



მხ. არ. კოკილაშვილი

არა, ჯერ კიდევ არ ესმით თუ რა არის ნამდვილი მხიარულება, რადგან ჯერ კიდევ არ არის ისეთი ცხოვრება, და ისეთი ადამიანები, როგორიცაა ამისათვის საჭირო. მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ იმხიარულონ მთელი სისხვით და ამოსწურონ მთელი აღტაცება და ტკობისა! როგორ ყვევიან ისინი ჯანით და ღონით, როგორი ტანადი და მოხდენილი არიან ისინი, როგორი ენერჯიით და გამომეტყველებით სავსეა მათი მოძრაობა? ყველა ისინი ბედნიერი და ულამაზესი ადამიანები, ქალი და კაცი, შრომაში და კმაყოფილებაში ატარებენ თავისუფალ სიცოცხლეს!

დარბაზის მხიარულ ხმებში ატარებენ ისინი დროს, სად არიან სხვები? სად არიან სხვები? ისინი ყველგანაა. ზოგი თეატრშია, მსახიობად, მუსიკოსად ან მაყურებლად, ვისაც როგორ მოსწონს: ზოგიც ვაფანტულან აუდიტორიებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში; ზოგი ბაღის ხეივანებში ან თავიანთ ოთახებში, რათა დაისვენონ სიმარჯოვეში ან თავის ბავშვებთან, მაგრამ ამაზე უმეტესი, ეს უმეტესი ჩემი საიდუმლოებაა... შენ ნახე დარბაზში როგორ უბრწყინავთ ლოყები, როგორ უელავთ თვალები. შენ ნახე ისინი გადიოდენ, ისინი შემოდიოდენ, აქა ოთახები თითოეულისათვის ჩემი თავშესაფარი, იქ ჩემი საიდუმლოება შეუვალია, კარები დახშულია, საუცხოო ხალხები მარხავენ კოვილივე ბეგრას, იქ სიჩუმეა, იქ იღუმალებაა, ისინი ბრუნდებოდენ — ეს მე ვაბრუნებდი მათ ჩემი იღუმალების სამეფოდან მსუბუქ მხიარულებაში. აქ ჩემი სამეფოა.

„აქ ჩემი სამეფოებელია, აქ ყველაფერია ჩემთვის! შრომა, — გძნობათა სიხალისი და ძალების დაგროვება ჩემთვის — შემზადება ჩემთვის, მოსვენება ჩემს შემდეგ. მე ვარ სიცოცხლის მიხანი, აქ მე ვარ მთელი სიცოცხლე“. „ამაშია ცხოვრების უდიდესი ბედნიერება, ამბობს უფროსი და: — შენ ხედავ, რომ აქ ყველას აქვს ის ბედნიერება, რომელიც სურს, აქ ყველა ცხოვრობს ისე, როგორც მისთვის უმჯობესია, აქ ყველას და თვითუფულს მიეცემული აქვს სრული თავისუფლება“. ყველაფერი ის, რაც ჩვენ გიჩვენებ შენ, არც ისე მალე იქნება განხორციელებული იმ ზომით, როგორც შენ ნახე. ბევრი თაობა გამოიცვლება, სანამ სავსებით განხორციელდება ის, რასაც შენ წინადგრძნობ. მაგრამ არც თუ იმდენი თაობა: ჩემი საქმე ახლა სწრაფად ვითარდება, უფრო და უფრო სწრაფად ყოველ წლივ, მაგრამ შენ მაინც ვერ შეხვალ ჯერ ამ სრულ სამეფოში: ისიც კარგია, რომ შენ ნახე იგი და იცი მომავალი. იგი ნათელია და მშვენიერი. მაშ უთხარი ყველას: აი რა არის მომავალი. მომავალი ნათელია და მშვენიერი, გიყვარდეთ იგი, ისწრაფოდეთ მისკენ, იმუშავეთ მისთვის, მოახლოვეთ იგი, გადმოიტანეთ მისგან აწმყოში იმდენი, რამდენის გადმოტანაც შეგიძლიათ: და ჩვენი ცხოვრება იმდენად უფრო იქნება ნათელი და კეთილი, მდიდარი სიხარულით და სიტკობებით, რამდენადაც თქვენ შეძლებთ მომავლის ხარჯზე მის გაამიდრებას. ისწრაფეთ მისკენ, იმუშავეთ იმისათვის, მოახლოვეთ იგი, გადმოიტანეთ მისგან აწმყოში ყველაფერი, რის გადმოტანაც შეგიძლიათ.

ამხანაგები აღნიშნავდნენ თავიანთ რაიონებში მხატვრულ ლიტერატურისადმი ინტერესის ზრდას, თანაც დასძენდნენ, რომ მართლად აღვივლებოდა ძალები ვერ გასწავდებიან ლიტერატურულ მუშაობას, მწერლები კი დღევანდლამდე პრაქტიკულად არ ემზადებიან. საკავშირო მწერალთა ყრილობის შედეგების დამუშავების გეგმის შედგენის დროს, ჩვენი რაიონები, როგორც, გამორჩეულ თვალთახედვადანია.

არჩილ კოკილაშვილი იცხადებს, რომ მათ განზრახული აქვთ რედაქციასთან მოაწყონ „ლიტბაზეთის“ მკითხველთა აქტივის წრე, რომელიც კოლექტიურად გაარჩევს გაზეთში დასმულ პატივალურ საკითხებს, მიიღებს ზომებს, რათა გახეილი ფართო ინსებში გაიტანოს და მიაწოდოს ლიტბაზეთის ინფორმაცია რაიონის კულტურულ ყოფაცხოვრების შესახებ. „ლიტბაზეთი“ დიდ ინტერესს იწვევს ჩვენს რაიონში. გიორგი სამაშვილი: „ლიტბაზეთი“ ძველად ამდენად ვერ აინტერესებდა მკითხველს; ახლა იგი რაიონულ მუშაკებისათვის და კერძოდ ჩემთვის სახელმძღვანელო გახდა. გასაღებისათვის გამოგზავნილი ტირაჟი ძალზე მცირეა. ბევრი მსურველი რჩება უჯახეთოდ. ასეთი ინტერესი მი არის გამოწვეული, რომ გარდა გარეგნობისა, გაზეთი სანტრესოდ ალაგდა მასალებს, მრავალ საკითხს ეხება და ენა გასაგებია. გარდა ამისა, იგი მეტად მოკლე, მაგრამ საკმარისად აშუქებს რაიონის კულტურულ ცხოვრებას. ჩვენს რაიონს გაგრცვლებისათვის გაზეთის მეტი ტირაჟი უნდა მიეცეს.

ჩვენს კოლმუშურნებებში დღით-დღე იზრდება ახალი ადამიანები. მათი კულტურული ბორობიტი უფრო ფართოვდება. კოლმუშურნეთა ოჯახებში უკვე საჭირო ინვენტარად გადაიქცა პიანინო და პატეფონები. მოვიდნენ მწერლები, გვინახვდნენ, დინახავენ ეს ცოცხალი მზარდი ადამიანები“.



მხ. გ. სამაშვილი

რაიონიდან ჩამოსული ამხანაგები დაქინებით მოითხოვენ, რათა ლიტბაზეთმა მათ აღმოუჩინოს კონკრეტული დახმარება საგაზეთო კულტურის ამაღლებისა და გაზეთის ფურცლებზე ლიტმუშაობის გაშლისათვის. სასურველად მიიჩნიეს, რომ ამ საქმისათვის „ლიტბაზეთის“ რედაქციამ იყოლოს ერთი ინსტრუქტორი, რომელიც რაიონულ გაზეთებს ადგილებზე სისტემატურად დახმარებას აღმოუჩენს.

დასასრულ, ორივე ამხანაგმა აღუთქვა რედაქციას გაზეთის ხელისმყოფრის კამპანიის გაშლაში პრაქტიკული დახმარება.

კ. ხიმშიაშვილის ნოველები

მწერალთა კავშირმა 15 ნოემბერს მოაწყო ახალგაზრდა მწერლის ამხ. ხიმშიაშვილის გამოქვეყნებული ნოველების საჯარო კითხვა-ნოველების წაკითხვის შემდეგ, სიტყვებით გამოვიდნენ მ. ჯავახიშვილი, ლეო ქიჩინელი, ლ. მეტრეველი, დავით სულთანიშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, დ. დემეტრაძე და სხვები. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ხიმშიაშვილის ეს სამი ნოველი უკვე ამდენად ახალგაზრდა ავტორის კარგ მომავალს: სხვა ახალგაზრდებთან შედარებით იცის ქართული ენა, აქვს სიტყვის მარაგი და წერის თავისუფალი სტილიც. მხოლოდ არ აქვს ფაზულა. ხალხი ვანცდით, საქმაო მხატვრული დამაჯერებლობით, ის იძლევა ერთ მთლიან განწყობილებას, რომლის უფაბულოდ დაწერაც მწერლისათვის საერთოდ მეტ სიმწიფეს წარმოადგენს. ხიმშიაშვილი ტიპებისა და ხასიათებისა სახვას ახერხებს მკაფიოდ და უფაბულოდ, რითაც მის მიერ წაკითხული ნაწარმოებები უფრო ესკიზებს უახლოვდებიან, ვიდრე ნოველებს.

სხვა ახალგაზრდა ავტორების საყურადღებოდ ხაზგასმით ითქვა, რომ ხიმშიაშვილი ისინი ხელს ჰკიდებენ დიდ თემს, რომლის დაძლევა მათ ძალიან ადვილად ეხება. ზოგს დაუძლეველი კიდევ, მაგრამ არა იმ მხატვრული დამაჯერებლობით, განცდის უშუალოდობითა და უბრალოებით, როგორც ეს შესძლო ამხ ხიმშიაშვილმა, რომელმაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო, ჩხობის სიტყვით „ჩიტის ნისკარტის“ ოდენა ამბავი საყურადღებო და მნიშვნელოვან ამბავად შექმნა. ნაწარმოების დაბოლოება უჭირს ავტორს — გაკიანურებულა, რადგან ჯერ მას არა აქვს მწერლისათვის საჭირო ტექნიკური გამოცდილება ამბავი მოულოდნელად და ოსტატურად დაამთავროს, მაგრამ მუშაობის შედეგად იგი აუცილებლად ამასაც მიალწევს. კითხვას, კამათში მონაყოლე ამხანაგების გარდა, დაესწრო კავშირის ხელმძღვანელმა და მათ შორის ამხ. მ. ტაროშვილიც.

„ვეფხის ტყაოსანი“

„სიტყვა და საქმე“

„ვეფხის ტყაოსანი“ დაბოლოების შესახებ კარგა ხანია ახრთა სხვადასხვაობა არსებობს.

ამის დამადასტურებელია მწერალთა კავშირის მიერ 19-ნომბერს განათლების მუშაკთა სახლში გამართული დისკუსია.

დისკუსიამ ორი დღე გასტანა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ვუკოლ ბერიძემ, კონს. გამსახურდიამ, ალ. დუღუჩავამ, ალიშვილმა, მ. მურადიანმა, იორდანიშვილმა, სიმ. ჩიქოვანმა, მეტრეველმა და გაწერელმა.

დისკუსიის ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომრებში.

„სიტყვა და საქმე“ მორიგი № 7 მიიღო „ლიტერატურის“ რედაქციამ. გაზეთი ტექნიკურად ისევ მაღალ დონეზეა და გამოცემულია საკმაოდ მაკინო სახის სივრცით.

საერთოდ ქუთაისი და მისი რაიონი დიდი აკაკის მრავალი გამოუქვეყნებელი მასალის მონაბოლნიკია.

საერთოდ ქუთაისი და მისი რაიონი დიდი აკაკის მრავალი გამოუქვეყნებელი მასალის მონაბოლნიკია.

ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა რეპერტუარს ახალი სეზონის ხელმძღვანელობით 1934-35 წლის სეზონის განსა დაუკავშირა ოქტომბრის რევოლუციის 17 წლის თავის შესრულებას.

საყურადღებოა თეატრის ცდა დ. კლდიაშვილის ნაწარმოების გასცენოგრაფიისათვის რეჟისორმა გ. რომაძემ, თეატრის შეკვეთით, „სოლომონ მორხელაძის“ საფუძველზე დაწერა სამოქმედო ნაწარმოები „ახალსურბი“.

სასოფლო საბაგოების მოხსნაგადასახლებაში (ასეთი კი 18-ია) ძლიერ ცუდად ვრცელდება „ლიტერატურა“. აღმოჩნდა მხოლოდ ხუთ ქონსამკითხველოში.

მუშაობა დაამუშავა ქართული სამოქალაქო ხელოვნების მასალები. ამ საკითხის ირგვლივ შეგროვილია თვალსაჩინო ფოტოსურათები.

უცხოეთი

ნიუ-იორკის სამასწავლებლო კოლეჯში გაიხსნა გამოფენა, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირის სახალხო განათლებისადმი.

გამოფენა დაყოფილია 9 განყოფილებად, მათ შორის ერთი განყოფილება მიკოლოგიური აქტის შელოვნებას („დეილი უორკერ“).

გამოფენის ფაზის იღებს ყოველგვარ ზომებს, რათა დააკრთოს მუშაბელის კვალი-ფიკაცია, ამავე დროს სასიხარულოდ მიიჩნია უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა რიცხვის შემცირება და ამ გარემოებას სთვლის თავისი პოლიტიკის მიღწევად.

ცნობილ მწერლის ლინკოლნ სტეფენსის შენიშნა მოთავსებულია „დეილი უორკერის“ 17 ოქტ. გაზეთში; სადაც იგი აღნიშნავს, რომ კომუნისტური გაზეთები „დეილი უორკერი“ და „სტერნ უორკერი“ ერთადერთი გაზეთებია, რომლებსაც ის კითხულობს.

ნიუშანიტა-ში გამოქვეყნებულია მოწოდება, რომელსაც ხელს აწერენ მწერლები პოლ ლანგერონი, ანრი ბარბუსი, ეგონ ერენი, ტედორ დრაიზერი, ჯონ დოს პასოსი და მაიკ გოდდონი.

ბარბუსი ანუერძის თანახმად მისი ბიბლიოთეკა 1935 წლის დასაწყისში გაიყვანება საჯარო ვაჭრობით.

1934 წლის ნოემბრის პრემია ლიტერატურაში მიუსჯეს იტალიელ დრამატურგს ლუიჯი პერაძემ და ელ ლოს.

„დეილი უორკერი“-ში (№258) მოთავსებულია სტივა ფოსტერის წერილი, რომელშიც გასაშუქებულია ორი ინფლისური პოეტის სტიქიანი სპენდერისა და ვ. აუდენის ცხოვრება და შემოქმედება.

რ ა ხ მ ე ტ ო ვ ი

6. ჩარნიშევსკი

თარგმანი პანტელეიმონ ჩნიკაძისა

ნაწყევბი „რა ვაკეთოთ?“-დან, სადაც დახასიათებულია მაშინდელი დროის რევოლუციონერის, რახმეტოვის ყოფა-ცხოვრება, მისი სამაჟალის ბრძოლებისთვის, თავის თავის გამოცდა და უარის თქმა სიყვარულზე რევოლუციური მუშაობის გულისთვის.

ერთი წლის წინ, როცა მეორეჯერ, და ალბათ, უკანასკნელად დაიკარგა რახმეტოვი პეტერბურგიდან, კირსანოვს უთხრა: „მომეცი რაც შეიძლება მეტი მალამო, ბასრი იარაღით მოყენებულ ჭრილობების შესახორცებლად“.

კირსანოვმა უხანაშაზარი ბანაკი მალამო მისცა, ეგონა, რომ რახმეტოვი მას წაიღებდა რომელიმე არტელის დურგლებთან, ან სხვა ოსტატებთან, რომელნიც ხშირად მარჯნდებიან ხოლმე მუშაობის დროს.

გეთაყვა, ექიმო, აღარ ვიცი რა მოსდის ამ ჩემს მღვმურს. დიდი ხანია ოთახიდან აღარ გამოდის. კარი ჩაკეტა. ჭვრიტიმალში შევიხედე: წვეს და სისხლშია მოსვრილი. ვიკვილე... ის კი შიგნიდან მეუბნება: „არაფერია, აგრაჟენა ანტროფინა!“ რაღა არაფერია! ექიმო, გვიშველე გეთაყვა, მეშინია თავი არ მოიკლას. ის ხომ თავმომტლებული ვინმეა. კირსანოვი გაეშურა.

რახმეტოვი ნაღვლიანი ღიმილით გაულო კარი და რას ხედავს კირსანოვი: ზურგსა და გვერდებზე რახმეტოვის პეიანგი (ის საცვლების ამარა იყო) სისხლშია მოსვრილი. ტახტს ქვეშ სისხლი ჩანს, ბურბუშელა, რახმეტოვი მას ეძინა, სისხლიანია. საწოლში ქვეშედან მიუჭიდლია უამრავი ლურსმანი საჩიჩილის პირივით და ლურსმნები ამოორილია ნახევარი ვერშოკის სიგრძეზე. რახმეტოვის მასზე ძინავს მთელი ღამე.

ხოლმე. ახლა კირსანოვი მოჰყვა თუ სად გაატარა რახმეტოვი ეს დღეები. ეს წარმოადგენდა ეროტიულ ეპიზოდს რახმეტოვის ცხოვრებაში. სიყვარული წარმოიშვა შემთხვევისაგან, რაც ნიკიტუშკა ლომოვს შეეფერებოდა.

რახმეტოვი პირველ პარტიკულადან ქალაქში მოდიოდა სატყეო ინსტიტუტის მეზობლად. ის ჩაფიქრებული იყო და მეტ წილად მიწას ჩაჰყურებდა, როგორც ეს მას ჩვეოდა საერთოდ. ქალის სასოწარკვეთილმა კვილია გამოაფხიზლა ის ფიქრებისაგან.

გახიდა: ცხენმა გაიტაცა ქალი. ქალი თვითონ მართავდა ცხენს, ვერ სძლევდა და აღვირი მიწაზე მიეთრეოდა. ცხენი უკვე ორი ნაბიჯის სიახლოვეს იყო რახმეტოვთან. ის გავარდა შუა შარაზე, მაგრამ ცხენმა ახლოს ჩაიქროლა და ვერ მოასწრო აღვირზე ხელის წავლება.

რახმეტოვი ათი დღე იწვა. ქალი, რასაკვირველია, თვითონვე უვლიდა ავადყოფს. რახმეტოვის, სისუსტის გამო არაფრის გაკეთება არ შეეძლო, ამიტომ ის ქალთან საუბრობდა—სულ ერთია, დრო ხომ ტყუილა იკარგებოდა—საუბარში შესტოპა კიდევ. ქალი ქვრივი იყო. ცხრაშვიტი წლის. ის შეძლებული იყო, დასაერთოდ სრულიად დამოუკიდებელი, კვიანი და წესიერი ადამიანი. რახმეტოვის მგზნებარე სიტყვებმა, —ცხადია, არა სიყვარულზე, მოაჯადოვა ქალი. „მე სიხმარში ვხედავ მას გაბრწყინებულს“.

ტფილისის ესტუმრა ცნობილი ნორვეგიელი პოეტი, ნოველისტი და დრამატურგი ნორდალ გრიგო. გრიგო საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებისა და უცხოეთის რევოლუციონერ მწერალთა კავშირის თვალსაჩინო წევრია.



ქნუტ შამსუნი ნორვეგიის ცენტრალურ პრესაში ამ პიესას შემდეგი სიტყვებით მიხვალმა: როცა „ატლანტიკის ოკეანე“ წავიკითხე, რამდენიმე კვირას ამ პიესის შთაბეჭდილებებით ვაბრუებული ვიყავი; ეს შთაბეჭდილებანი ჩემ მენხიერებაში დღესაც ცოცხლობს და საერთოდ დიდი ხანია ასეთი პიესა არ წამიკითხავსო.

გრიგის ჩამოხვლის მიზანია ახლოს გაეცნოს საქართველოს კულტურულ ცხოვრებას.

უტყდა და წინადადება მისცა ჯვარი დაეწერა მასზე.

„მე თქვენთან უფრო გულლია ვიყავი, ვინემ სხვასთან. თქვენ ხედავთ, რომ ისეთ ადამიანებს, როგორც მე ვარ, უფლება არა აქვთ თავისი ბედი სხვისას შეუერთონ“.

„ეს მართალია“—უბასუხა ქალმა— თქვენ არ შეგიძლიათ დაცოლშვილდეთ, მაგრამ, სანამ თქვენ მოგიხდება ჩემი მიტოვება, გყვარდეთ მე“.

— არა, არც ეს შემიძლია. მე უნდა ჩავკლა ჩემში სიყვარულის გრძნობა. სიყვარული შემიკრავს მე ხელებს, თუმცა ისინი ჩქარა ისედაც არ გამეხსნებიან. ისინი უკვე შეკრული არიან. მაგრამ გავხსნი და გავნთავისუფლებდი. მე არ უნდა მიყვარდეს არავინ“.

რა მოუვიდა შემდეგ ამ ქალს? მის ცხოვრებაში უნდა მომხდარიყო გარდაცემა. შესაძლოა, ის თვითონ გახდა არაჩვეულებრივი ადამიანი. მე მიხლოდა ეს გამეგო. მაგრამ მე ეს არ ვიცი. კირსანოვმა მე არ მითხრა მისი სახლი და არც თვითონ იცოდა, რა მოუვიდა მას. რახმეტოვი სთხოვა აღარ ენახულებია ეს ქალი, არც არაფერი ეკითხა მის შესახებ.

„თუ მე დავუშვებ, რომ თქვენ გეცოდინებათ რაიმე იმ ქალის შესახებ, თავს ვერ დავიჭერ, გამოგკითხავ და ეს კი არ ივარგებს“. ამ ისტორიის გაგონებაზე, ყველას მოაგონდა, რომ იმ დროს თვე-ნახევარი თუ ორი თვე, შეიძლება მეტიც, რახმეტოვი ჩვეულებრივზე უფრო მოწყვნილი იყო, არ მიდიოდა ახარტში თავისი ჩვეულების წინააღმდეგ, რამდენიც არ უნდა მიგეთითებიათ მის აღმაშფოთებელ სისუსტეზე. აღარ იღიმებოდა ფართოდ და ტკბილად, როცა მას ნიკიტუშკა ლომოვს ადარებდენ. მე კი მეტიც მომაგონდა: იმ ზაფხულს, ამ შემთხვევის შემდეგ, სამ-ოთხჯერ ჩემთან შეხვედრისას, შემიყვარა მე იმისთვის, რომ მე მას დავცინოდი (მარტოდ შეხვედრისას). საპასუხოდ მას ასეთი სიტყვები აღმოხდებოდა ხოლმე: დიან, გეცოდებოდეთ, თქვენ მართალი ხართ, გეცოდებოდეთ: არც მე ვარ განწყენებული იდეა, მეც ადამიანი ვარ, რომელსაც სურს იცოცხლოს. ჰო, და ეს არაფერია, გაივლის“. უმატებდა თვითონვე, როცა მე მეტისმეტად შევანჯღრე მის დაცინვებით მიწურულ შემოღობვაზე, მას სწორედ იგივე სიტყვები წამოვაცდინე.



ლ. ბ. გ ა ზ ე თ ი

ბიბლიოკრაფია

ვასილ ბარნოვი, როგორც ყველა საზოგადო მოღვაწე, პირველად ლექსებს სწერდა (იხ. „დროება“ 1873 წ., № 149); მისი ლექსების თემა იყო: „ქართული ქალი“, „თამარ მეფე“, „შოთა რუსთაველის სურათზე“ და სხვ. მაგრამ ლექსების წერას მალე დაანება თავი და პროზას მიჰყო ხელი. ამავე წლებში „დროება“-ში მოათავსა საცენოგრაფიო ხასიათის წერილები: „რამდენიმე სურათი ხევსურეთის ცხოვრებიდან“, სხვადასხვა კარგესონდენცია და ისტორიული წერილი „სამშვილდე“...

1886 წელს „ივერიაში“ დაბეჭდა მე 17 საუკუნის ცნობილი ფრანგ მოგზაურის შარდენის „მოგზაურობა საქართველოში“ (იხ. „ივერია“, 1886 წ. №№ 125, 128, 134, 147, 155, 160, 166, 171, 177, 182, 205, 207, 218, 224 და 234).

გ. ბარნოვის პირველი ორი მოთხრობა „თარგმანი იყო პირველი სკრიპკა“ („დროება“ 1879 წ. № 147—8) და „ალადინი“ („ჯეჯილი“ 1890 წ. № 6).

მისი პირველი წიგნი დაიბეჭდა 1888 წელს, სახელწოდებით „პაპუნა“. ავტორმა ეს ბატარა მოთხრობა შემდეგში გადააკეთა და „ხარაზი“-ს სახელწოდებით დაბეჭდა „ჯეჯილი“-ში (1894 წ. № 6).

გ. ბარნოვის მოთხრობები სისტემატურად არ იბეჭდებოდა. მის შემოქმედებასაც ხარვეზები ახასიათებს. გ. ბარნოვმა თავისი ისტორიული რომანებით თუ მხედველობაში არ მივიღებთ გრ. რჩეილოვს—საძირკველი ჩაუყარა ასეთი ჟანრის მოთხრობებს ჩვენში. აღსანიშნავია მისი შემდეგი ისტორიული მოთხრობები: „სახიფათო სიყვარული“, „მიმქრალი შარავანდედი“, „ისნის ცისკარი“, „ხარაზი სასძლო“, „ტრფობა წამებულნი“, „ნათელმოსილინი“ და „არმაზის მსხვერვა“.

გ. ბარნოვს, როგორც ბელეტრისტს, კრიტიკამ მაშინ მიჰქცია ყურადღება, როცა 1912 წ. სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულში („გრადემლი“) დაიბეჭდა მოთხრობა: „თებერას დანიშნული“ და როცა „სახალხო გაზეთმა“ 1914 წ. თავის ხელისმძღვერულებს პოემიად დაუთმო: „მიმქრალი შარავანდედი“.

გ. ბარნოვი ნაყოფიერი მწერალი იყო; მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ათეული დიდი რომანი. მისი მრავალი მოთხრობა გაბნეულია

ჩვენს „სურნალ-გაზეთებში“. უფრო მეტი ხელნაწერის სახით დარჩა განსვენებულს. მისი ნაწერები 25 ტომს აღემატება, თითო ტომში თუ 400 გვერდს ვივარაუდებთ...

ჩვენ აქ აღვნიშნავთ გ. ბარნოვის მხოლოდ ცალკე გამოშულ წიგნებს.

- 1. „პაპუნა“ (1888 წ.);
2. „საკვირველი ხე“ (1888 წ.);
3. „სესე“ (1894);
4. „ვაი შენს დამკარგავს“ (1901 წ.);
5. „გველის ზემი“ (1919 წ.);
6. „თხზულებანი“ I ტ. (1920 წ.);
7. „თხზულებანი“ II ტ. (1920 წ.);
8. „ხარაზი სასძლო“ (1922);
9. „მუშა“ 1922 (ამ მოთხრობას ხელნაწერში ვერკვა „სული მთელმარე“—ასე მითხრა ავტორმა);
10. „ამქრის მშენებელი“ (1918, არ დამთავრებულია);
11. „ამქრის მშენებელი“ (1923 წ.);
12. „არმაზის მსხვერვა“ (1926 წ.);
13. „მსხალი“ (1928 წ.);
14. „ტფილისის ანტილოგია“ (1929 წ.);
15. „ვარდფანჯები“ (1929 წ.);
16. „სამი რომანი“ 1930 წ. (ამ წიგნს ხელნაწერში ვერკვა: „გარდასულთ ხმანი“);
17. „ფერად-ფერადი“ (1934 წ.).

გარდა ამისა გ. ბარნოვს გამოცემული აქვს (1919 წ.) სახელმძღვანელო წიგნი: „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები“ (პირველი რევილი), სადაც გარჩეულია ჩვენი ფოლკლორი.

აქვს აგრეთვე „არსენას“ შესახებ საგულისხმიერო მოთხრობა (1921). აქ პირველად არის გამოთქმული ის აზრი, რომ არსენა მარაბდელი სარომანო სიუჟეტი და „გვარდინი დახატა კალმის წყვეთით მისი ცხოვრება“. ქართული ხელოვნების კი შესწავლა ამის ნიჭი და მარაბდელი მოელის შესაფერ კალამსაო.

გ. ბარნოვზე ბევრი მოგონება დამრჩა... აქ აღვნიშნავ მხოლოდ ერთ გარემოებას: გ. ბარნოვი, ყველა თავის მოთხრობებში გაურბოდა უცხო სიტყვების ხმარებას და მათ საბადლო სიტყვებს ქართულ ლექსიკაში ჰპოვებდა...

8 ნომბ. ი. გ.

საბჭოთა კავშირის მუსიკალური წრეების ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა კომპოზიტორმა გიორგი ქრიტიკოვს ძე მეფურნიშვილმა. მისი მუსიკალური ნაწარმოებები მეტწილად ასახავენ კავკასიის მთიელების, კერძოდ ჩანეთის დღევანდელ ვითარებას და ახლო ისტორიულ წარსულს. მეფურნიშვილის მუსიკალური შემოქმედების დასაწყისი ემთხვევა მთიელთა ერთგულ სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის დასაწყისს. ამიტომაც მისი ნაწარმოების მთავარ მოტივს სწორედ ეს ბრძოლა წარმოადგენს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ნაწარმოები „ჩანეთის გმირული პოემა“, რომელიც გადმოგვცემს თეთრგვარდიელებისა და ბეგების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდს—აჯანყებულ ჩანეთის წინამძღოლ ბეგლადის დაღუპვას. ამ ნაწარმოებზე პროფესორი ბელიავევი ჟურნალ „სოვეტსკაია მუზიკა“-ს 7-ში წერს: „ეს ეპიზოდი დაედგა საფუძვლად მეფურნიშვილის ს.პროგრამო კონცეპციას. ამ ნაწარმოებში ასლან ბეგის დაღუპვა დაკავშირებულია ჩანეთის მასების ბრძოლასთან ნაციონალურ განთავისუფლებისათვის, იგი დაკავშირებულია მთელ ჩანეთის ნაციონალურ ჩაგვრის ისტორიასთან...“

ამ სიმფონიურ პოემის გარდა მეფურნიშვილს დაწერილი აქვს: „მთის (ჩრდილოეთ კავკასიის) ესკიზები“, ფორტპიანოსათვის, 2) ჩანეთის ათი წლის თავისათვის მიძღვნილი პოემა, 3) პიესა „ალბა კალასათვის“ დაწერილი იუსიკა, 4) მთიელთა კოლექტიური ცეკვა, 5) ანონსავლეთის პოემა—ვიოლინებისა და ფორტპიანოსათვის და სხვ.

ამ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი არაერთხელ შეუსრულებია თვით ავტორს როგორც თავისი სამშობლო ქალაქ გროზნაში, ისე როსტოვსა და მოსკოვში, სადაც აუდიტორია აღფრთოვანებით შეხვედრია. მეფურნიშვილის კონცერტების გამო იგივე პროფესორი გ. ბელიავევი ლიწობს: „მეფურნიშვილი მთის პირველი კომპოზიტორია... მის შემოქმედებაზე ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ გვაქვს სრული საფუძვლი ვთქვათ, რომ მისი სახით გვაქვს დიდი და თავისებური შემოქმედებითი ნიჭი, რომელსაც თავისი განვითარებისათვის საკმაოდ მიმემა აურჩევია“.

გ. მეფურნიშვილი დაიბადა 1901 წელს ქ. გროზნაში ქართული ხელოვნის ოჯახში. აქვე მიიღო მან პირველი განათლება. ბავშობიდანვე გამოამყვანა მუსიკისადმი მადრეკლება. უახლეს ველა და დაუახლოვდა არა მარტო ჩანეთს, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ხალხს.



მუსიკალური განათლების პირველი საფეხურის განვლის შემდეგ, იგი შევიდა როსტოვის მუსიკალურ ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა ხეივითის ხელმძღვანელობით. შემდეგ იგი გაგზავნილი იქნა მოსკოვის კონსერვატორიაში, სადაც დასპეციალისტდა კომპოზიტორი.

აბლულ ქირიმ ტრამოვი

ქართული თეატრის ისტორიისთვის

გაზეთ „სიტყვა და საქმის“ უკანასკნელ № 7-ში, ნათქვამია, რომ „პირველი ქართული წარმოდგენა ქუთაისში აკაკიმ გამარტაოვი“. ეს არ არის სწორი. პირველი სერიოზული ქართული წარმოდგენა ქუთაისში უფრო ადრე გაიმართა: 1861 წ. 3 მარტს ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის და გიორგი ბესარიონის ძე ლელობერიძის მეთაურობით. წარმოდგენილი იქნა: „გაყრა“.

მონაწილეობდნენ: ს. აბულაძე (ანდუჟაფარი), ა. მეფარიანი (ივანე), კ. დ. წულუკიძე (ბავლე), ნ. მაისურავის (მაკრინე), ელ. წერეთელი

(ნიწო), ე. აგვივი (ყარდაშვერი), გრ. მიხანდაროვი (მიკორტუმა), ლ. ფომინა (მუშანა), აბ. მახაბედი (ბარძიმი), მ. ლორთქიფანიძე (ბარამი), გ. კლდიაშვილი (კომისიონერი), ო. და დიანი (გაბრიელი), ნ. ერისთავი (ბახიერი) და თვით დიმიტრი ბაქრაძე (სუდის სეკრეტარი). ამ მონაწილეობის შორის, სამის გარდა ყველანი დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი იყვნენ. წარმოდგენა გაიმართა ადგილობრივ კლუბში, წმინდა შემოსავალი დარბაზი იქნა მანეთი, რომელიც „კალმასობის“ გამოცემის საქმეს მობმარდა. ი. გ.

რედაქტორი: პლატონ ქიქოძე
რედაქციის მდივანი: ნიკოლოზ ჩაჩავა
გამომცემელი „ლიტვაზეის“ გამომცემლობა

კრიტიკოსთა თათბირი

25 ნოემბერს, საღ. 7 საათზე მწერალთა სახალხოში (მაჩაბელის ქ. № 13) მწერალთა კავშირის სამდივნო და „ლიტვაზეის“ რედაქცია იწვევს კრიტიკოსთა თათბირს—ფრიად მნიშვნელოვან საკითხებზე. აუცილებელია დაუგვიანებლად შემდეგი ამხანაგების დასწრება: ვ. ასათიანი, ლ. ასათიანი, ბ. ბუაჩიძე, კ. გორდელოძე, ს. დანელია, დ. დევაძე, დ. ვოლსკო, მ. ჯანდუყელი, ვ. კოტეტიშვილი, რ. კალაძე, კ. კაპანეიძე, კ. კეკელიძე, ვ. ლუარსაბიძე, გ. მუშიშვილი, გ. მდივანი, კ. მელაძე, გ. ნატროშვილი, შ. ნუცუბიძე, შ. რადიანი, ალ. სულავე, თ. სიხარულიძე, გ. ქიქოძე, ვ. ხუროცი, გოგი ტაროშვილიძე, პ. შარია, აკ. ჭყონია, ცინცაძე და უნივერსიტეტის ლიტვაკის ასპირანტურა.

აფხაზეთი

აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა აფხაზურ ენაზე სამსონ ჩანბას და დამსახურებულ მწერლის დიმიტრი გულიას რჩეული ნაწერები. იბეჭდება და მალე გამოვა ახალგაზრდა მწერლების კრებული აგუბაა, ლაბახუა, პაპასკირის და აშხარუას მონაწილეობით. გარდა ამისა გამომცემლობამ სტამბას გადასცა დასაბეჭდათ ახალგაზრდა აფხაზ პოეტის ლევარსან კვიციანიას ლექსების კრებული და შალიკა წვიხჯბას რჩეული ნაწარმოებები. კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანი „ძირს სიმინდის რესპუბლიკას“ სთარგმნიან აფხაზურ ენაზე აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობის დაკვეთით. სოხუმის გარკვეულმა გაკეთმა გამოსცა ბერძნულ ენაზე პოეტ აპოლონ კანონიდის ლექსთა კრებული.

ვიწყებთ გაზეთზე 1935 წლის ხელის მოწერის გაუილ კამპანიას
ხელის მოწერა მიიღება „სოიუსპეჩატი“-ს და ფოსტის ყველა პუნქტებზე და განყოფილებებში.
გვესაუბრობა წარმომადგენელი, რომელნიც ერთდროულად იკისრებენ გაზეთზე ხელის მოწერის კამპანიის ჩატარებას ცალკეულ რაიონებში, ქარხანა-ფაბრიკებში, წარმოება დაწესებულებებში, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობებში.
მსურველთა ვიზიტუალური შეგვატყობინონ თანხმობა და მისამართი რედაქციის სახელზე. მათ ინახულებს ჩვენი წარმომადგენელი პირადად ადგილობრივ მოსალაპარაკებლად ან მიგაწვდით სათანადო ინსტრუქციას წერილობით.
ხელის მოწერის შემკრებნი მიიღებენ საუანადო ჯილდოს.
გაზეთი გამოდის ყოველ გამოსასვლელ დღეს, თვეში ხუთი ნომერი. ღირს 1 მან. 50 კაპ. თვიურად. ცალკე ნომერი 30 კაპ.
„ლიტვაზეის“ გამომცემლობა
ტფილისი, მაჩაბელის ქუჩა № 13. ხელგანთა სასახლე. ტელეფ. 3-47-10.

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მალაზიებში
იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა
ჩარლზ დიკენსი—დავით კოპერფილდი (თარგ. ქ. ინგოროყვასი).
ა. ტოლსტოი—პეტრე პირველი (თარგმ. ივ. მაჭავარიანისა).
შოლოხოვი—გატეხილი ყამირი (თარგ. არ. ჭუმბაძისა).
ოსური მწერლობის კრებული.
შახნავაზიანი (გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით).
ა. პუშკინი—ევგენი-ონეგინი (თარგ. გ. ცეცხლაძისა).
რ. ერისთავი—ლექსები, I ტომი (გ. რადიანის რედაქციით).
გ. წერეთელი—გულქან, პირველი ნაბიჯი.
ნიბელუნგები (თარგმანი ქ. ქიქიანიძის).
გ. ტაბიძე—ლექსების II ტომი.
გ. ქუჩიშვილი—ლექსების I ტომი.
მოპასანი—მოთხრობები (თარგ. თ. სახოკიასი).
გრ. ორბელიანი—წერილების I ტომი (აკ. გაწერელის რედაქციით).